



იოსებ სიგოშვილი

---

მთხროშვი  
რქსი

რქსი

იოსებ სიგოშვილი

მთხრობები  
რესე



გამომცემლობა „მნიგნობარი“  
თბილისი 2021

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია ავტორის ხუთი მოთხრობა, რომელიც დამყარებულია რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებზე. რაც შეეხება ლექსებს, ისინი ძირითადად ამოკრეფილია იმ გაყვითლებული რვეულებიდან, რომელიც ავტორს ახალგაზრდობაში დაუწერია ანუ უცდია პოეტობა.

რედაქტორი  
**მანანა გორგიშვილი**

მხატვარი  
**ნინო მღებრიშვილი**

დამაკაბადონებელი  
**თამარ ტყაბლაძე**

ISBN 978-9941-498-52-7





## გოგონა ყვითელი თავსაფარით

შავი ზღვა ლურჯად ლივლივებდა. ბათუმში, როდესაც გაზაფხულის მზე ცის თავანზე ლალად გაინავარდებდა და ღვთიეკურთხეულ ფერს ჰორიზონტზე დაშვებისას უხვად დააფრქვევდა ხოლმე ზღვის ტალღებს, ეს უკანასკნელი უჩვეულოდ ლურჯდებოდა და ნაზამთრალ, პირქუშ შავ ფერს, რომელიც მნახველს შიშის ზარს სცემდა, აცისკროვნებდა და მზის სხივებთან ერთად ერთგვარ ჰარმონიას ქმნიდა, რაც თითქმის ნოემბრის ბოლომდე მიჰყვებოდა მრავლისმნახველ ქართულ ზღვას, რომლის ჩუმი ხმაურისთვის ყურადღებით რომ მოესმინა ადამიანს, მასში ქართული ჰანგების ჟღერადობას ამოიცნობდა. ზამთრის ცივად დახუთული წიაღიდან თავდაღწეული ზღვა ქართულად ესაუბრებოდა მის წინაშე მცხუნვარე მზეს მიფიცხებულ ადამიანებს და თავისკენ უხმობდა.

ზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს, თბილისიდან ბათუმში დასასვენებლად ჩამოსულმა გუგამაც გადაწყვიტა მზეზე გარუჯვა და მიაკითხა ზღვის სანაპიროს. ბათუმის პლაჟი, მიუხედავად თავისი დიდი სივრცისა, რომელსაც არც სიგრძე აკლდა და არც სიგანე, სავსე იყო დამსვენებლებით. გუგამ, როგორც იქნა, გზა გაიკვლია შეზღონგებით გადატვირთულ ლაბირინთებში, ფეხსაცმელები გაიხადა, დადგა ზღვის პირას, დაელოდა მისკენ მომავალ ტალღებს, დაისველა ფეხები და ზღვას მონატრებულმა ჭაბუკმა მის წინ მოცურავე ადამიანებს შეავლო თვალი. სიცხისაგან დამაშვრალი ბავშვი, ქალი, კაცი ცურვით და სხვადასხვა სახალისო მოძრაობებით ცდილობდა დაუფლებოდა წყალს, თავის სხეულით გახვეულიყო ზღვის მოუსვენარ ტალღებში და გაგრილებულიყო. ყიჟინას და საოცარ ჟრიამულს დაეპყრო არე-მარე. გუგას თვალი ოდნავ შორს „გაექცა“ და მოცურავეთა შეზღუდვის ბანერთან საცურაო რგოლზე წამოწოლილი გოგონა შენიშნა, რომელიც მოუსვენრად ამოძრავებდა ხელებს და ცდილობდა ზღვაში ღრმად შესვლას. გოგონა, როგორც იტყვი-

ან, „თვალში საცემი“ უფრო იმიტომ გახლდათ, რომ ყვითელი ფერის რგოლზე წამოწოლილს, თავადაც ყვითელი ფერის საცურაო კოსტიუმი ეცვა და თმებზეც ამავე ფერის თავსაფარი ჰქონდა ლამაზად მორგებული. ზღვის ლურჯ ტალღებზე ყვითელ ფერებში გამოწყობილი მოცურავე გოგონა ყველას ყურადღებას იქცევდა და ეს არც მაშველებს გამოჰპარვიათ მხედველობიდან. ისინი კატერით მიუახლოვდნენ მას და ნაპირისკენ დაბრუნებისკენ ანიშნეს. გოგონა უმალ დაემორჩილა მაშველების მოთხოვნას, შემოტრიალდა და ნელი სვლით გაემართა ნაპირისკენ. გუგა იმდენად გაერთო ამ სანახაობით, რომ თვალი ვერ მოსწყვიტა მისკენ მოცურავე გოგონას. ყვითელი ფერის საოცრება ნელა-ნელა მოუახლოვდა ნაპირს. გოგონა ილიმებოდა. აშკარად ჩანდა, რომ ეს ცურვისგან ნასიამოვნები ადამიანის განცდის გამოხატულება იყო. იმდენად უხდებოდა გოგონას ყვითელ ფერთან შეხამებული საოცარი ღიმილი, რომ ამ სანახაობის შემხედვარე გუგა გოგონას გარდა ვერავის ხედავდა. მალე ქალიშვილის ლამაზი სახეც გამოჩნდა. შავვკრემანი გოგონას მოელვარე შავმა თვალ-წარბმა გუგა უფრო დამოკიდებული გახადა ამ საოცრებაზე. მისმა ღიმილმა ხომ გული აუჩქროლა ჭაბუკს და რომ არა წყალში დგომა, ალბათ მართლა ცეცხლი წაეკიდებოდა. თუმცა შინაგანმა აღტკინებამ ვნების ისეთი აღმური აუგიზგიზა, რომ მის გაგრილებას შავი ზღვაც არ ეყოფოდა.

გოგონა თავის რგოლთან ერთად მოცურდა ნაპირთან. ფრთხილად გადმოვიდა დიდი ქვებით სავსე პლაჟზე და იქვე გაშლილ შეზღონგზე წამოწვა. გუგას კი უკვე ზურგი შეექცია ზღვისთვის, იმ ზღვისთვის, რომელიც მთელი წელი ენატრებოდა და მასთან ჩასახუტებლად თბილისიდან ბათუმში მოისწრაფოდა. ახლა ის ზღვიდან ამოსული, ყვითლადშემოსილი გოგონასკენ იყურებოდა და რატომღაც ეჩვენებოდა, რომ მის გარშემო ტრიალებდა ხმელეთიც, ზღვაც და პლაჟზე დასასვენებლად, გასართობად და სამუშაოდ მისული უამრავი ადამიანი. გუგას ბავშვობიდან მოყოლებული ლურჯი ფერი უყვარდა, მაგრამ ახ-



ლა ყვითელმა ფერმა დაიპყრო მისი გონება და სხეული... უყურებდა ხან ზღვას და ხან ყვითლადმოელვარე საოცრებას, რომელიც ასევე ყვითლად მოკაშკაშე მზეს ეფიცებოდა და თითქოს ეჯიბრებოდა სილამაზეში...

- რა ვქნა? - გაუელვა გუგას გონებაში, - მინდა მივიდე და გავიცნო... მაგრამ ასე პირდაპირ? ... არ იფიქრებს, ვინ არის ეს გიჟიო? ალბათ, აქაც სიგიჟეა საჭირო, რომ სიგიჟემ სიგიჟე დათრგუნოს და ეს სიგიჟე ადამიანის თვალში გაანეიტრალოს ...“

\* \* \*

- რუსა, მაგ ყვითელი კამერით რომ დაცურავ, იცი, რომ ბატის ჭუკს გავხარ? - გაეცინა შეზლონგზე ნებიერად წამონოლილ ნინას, რომელიც მკერდზე მზის სხივებისგან დასაცავ კრემს ისვამდა.

- ვგავდე რა, - გაელიმა რუსას და ხელში ყვითელბრონიანი მობილური ტელეფონი შეათამაშა, - მიყვარს ყვითელი ფერი და რა ვქნა ...

- ტელეფონიც ყვითელი ფერის გაქვს, ფრჩხილებზე მანიკიურიც, - კისკისებდა რუსას კიდეც ერთი დაქალი თეკლა, - ერთი ბოთლი ცივი „ფანტა“ გაკლია და აწყობილი გექნება საქმე.

- ნეტა ვის მოენონება ბოტკინიანი ადამიანივით გაყვითლებული გოგო? - იცინოდა ნინა და თან მობილური ტელეფონის ეკრანს არ აცილებდა თვალს.

- იცინეთ, იცინეთ, - გაელიმა რუსას, - ყვითელი „კაბრიოლეტით“ რომ მომაკითხავს ჩემი ოცნების მამაკაცი, არც ერთ თქვენგანს არ ჩავსვამთ მანქანაში.

- ყვითელი „კაბრიოლეტით“ თუ არა, ყვითელი რაშით მაინც მოგაკითხავს... - გაეცინა ნინას და რუსას პლაჟის დიდ ქვებში ნაპოვნი კენჭი ესროლა.

რუსამ მისი მისამართით ნასროლი კენჭი დაიჭირა, დახედა და გახარებულმა შესძახა:

- აი, ეს კენჭიც ყვითელი ფერისაა! ესე იგი ნამდვილად მოვა!..

\* \* \*

მცხუნვარე მზით დაღლილმა გოგონებმა ჩათვლიმეს. ამ დროს მათ მიუახლოვდა ახალგაზრდა კაცი. რუსამ თვალები გაახილა და მხოლოდ ადამიანის სილუეტი დაინახა, რადგან უცნობის ზურგს უკან ჩამავალი მზის სხივები ბრწყინავდა და არ ჩანდა, ვინ ესტუმრა გოგონებს პლაჟზე.

- გოგონებო! - წამოიძახა რუსამ ისე, რომ უცნობი მამაკაცისთვის თვალი არ მოუცილებია.

რუსას შეძახილზე გამოფხიზლებულმა ნინამ თავისთვის ჩაილაპარაკა:

- არა მგონია მეჩვენებოდეს... მართლა ყვითელია!..

ნინა მართალი აღმოჩნდა. მამაკაცი, რომელსაც ყვითელი შორტი, ყვითელი მაისური და ყვითელი ბოტასები ეცვა, თავზე ყვითელი ქუდი ეხურა და ხელში სამი ბოთლი „ფანტა“ ჰქონდა ჩაბლუჯული, გუგა გახლდათ. როგორც ჩანს, ყვითელი შესამოსელის შესაძენად დიდხანს ერბინა ბათუმის მაღაზიებში, რადგან დაღლილობა აშკარად ეტყობოდა სახეზე.

ნინამ თეკლას გადაულაპარაკა:

- ალბათ, ყვითელი „კაბრიოლეტი“ „სტაიანკაზე“ ჰყავს გაჩერებული...

გოგონებმა ხმამაღლა გადაიკისკისეს, უცებ წამოდგნენ შეზღონგებიდან და წასვლა დააპირეს. შეშფოთებულმა რუსამ წამოიძახა:

- სად მიდიხართ!? დამელოდეთ!..

- აღარ გვინდა ამდენი ბრაზილია და ტროპიკები!.. - გაიცინეს გოგონებმა და ზღვისკენ გასწიეს.

- აკი, ბატის ქუკიო?.. - ჩაილაპარაკა დაქალების დაცინვით დამწუხრებულმა რუსამ, წამოდგა და თვითონაც დააპირა წასვლა.

- რუსა?.. - რა ლამაზი სახელია, იქნებ გავიცნოთ ერთმანეთი?.. - მორცხვად წარმოთქვა გუგამ და უხერხულობის გასაფანტად თავისი ჩაცმულობის დათვალიერება სცადა, რომელზეც გოგონებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება.



- რატომ უნდა გავიცნოთ? - იუკადრისა რუსამ, - მე თქვენ არ მომიპატიჟიხართ!

- ალბათ იმიტომ, რომ... - თავის მართლება სცადა გუგამ, - ერთნაირი და ერთფეროვნები ვართ...

- ეგ იმას როდი ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ერთად უნდა ვიყოთ! - შეიცხადა რუსამ, - აგერ ზღვა დიდია და გაიცანით, ვინც გინდათ!

- თქვენს გარდა მე აქ ვერავის ვხედავ, - მიუგო გუგამ, - სიმართლეს ვამბობ და ამიტომაც შევიძინე ეს ტანსაცმელი, რომ დამხმარებოდა თქვენს გაცნობაში. ძალიან გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით რა?!

რუსამ თავისი დიდი და ლამაზი თვალებით შეხედა გუგას სასონარკვეთილ სახეს და მასში ისეთი ვედრება დაინახა, რომ უარის თქმა ველარ გაბედა. ახალგაზრდა მამაკაცი ხომ მხოლოდ გაცნობას ითხოვდა. ხელი გაუწოდა გუგას და მორიდებით წარმოთქვა:

- რუსა.

- მე გუგა მქვია. დიდი მადლობა, რომ გამიგეთ.

- იმედია, ჩვენი გაცნობა ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობას არ გასცდება? - იკითხა რუსამ, საცურაო რგოლს ხელი მოჰკიდა და ზღვაზე წასასვლელად მოემზადა.

- რა თქმა უნდა, - სწრაფად მიუგო გუგამ, - მეც თქვენთან ერთად წამოვალ საცურაოდ, შეიძლება?

- რუსას გაცინა და უპასუხა:

- ზღვა დიდია, ყველა დავეტევით.

\* \* \*

გუგას და რუსას შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ორივენი თბილისის კომერციული ბანკების თანამშრომლები აღმოჩნდნენ და ცხოვრობდნენ საბურთალოზე, მართალია სხვადასხვა ქუჩაზე, მაგრამ არც ძალიან შორს. ხასიათითაც ბევრ რამეში ჰგავდნენ ერთ-





თმანეთს. ასე რომ, ნელა-ნელა დაახლოვდნენ და რუსა ხშირად დროს უფრო გუგასთან ატარებდა, ვიდრე თავის დაქალბებთან. ნინა და თეკლაც შეეჩვივნენ ამ სიტუაციას და გუგა თავიანთ „გუნდში“ მეოთხე წევრად ჩარიცხეს.

ერთხელ, ბათუმის ბულვარში სეირნობისას, გუგამ რუსას შესთავაზა ერთად ესაუზმათ.

- კაი, - დათანხმდა რუსა, - სად წავიდეთ?

- აირჩიე, გეპატიჟები. - გაელიმა გუგას.

- აი, იქ, - თქვა რუსამ, - და თითოთ იქვე მდებარე ბუნგალოსკენ მიანიშნა.

ბუნგალო პალმის რტოებით იყო გადახურული, რომელიც მზისგან ისე გაყვითლებულიყო, რომ ადამიანის თვალს იზიდავდა.

- ჰო, სწორია, - წამოიძახა გუგამ, - აქ უნდა შევიდეთ, ეს ხომ ჩვენი ფერია.

ახალგაზრდები შევიდნენ სასაუზმეში და იქვე კუთხეში მდგარ მაგიდასთან დასხდნენ. მენიუს დათვალიერებას რომ მორჩნენ, ოფიციანტიც ეახლა, მიესალმა და იკითხა:

- თუ უკვე მოიფიქრეთ, რას მიირთმევთ? გისმენთ.

- აჭარაში აჭარული ხაჭაპური გვირჩევნია მივირთვათ, მხოლოდ ორ-ორი კვერცხით.

ოფიციანტმა აათვალიერა-ჩაათვალიერა ყვითელ ფერებში გამონყობილი სტუმრები და ჩვეული აჭარული იუმორით წარმოთქვა:

- ორ-ორი კვერცხით? მთლა გინდათ რომ გაყვითლდეთ? ალბათ დასაყოლებლად ყვითელ „ფანტას“ მეითხოვთ დაა? ...

გუგას და რუსას გაელიმათ, რაც თანხმობას ნიშნავდა. ოფიციანტმა კი სამზარეულოში მზარეულს გასძახა:

- ორი აჭარული ორ-ორი კვერცხით! ...

- დღეს ყველა უკვერცხოს უკვეთავს და ვინ გამოჩნდა ამფერი კვერცხის მოყვარული? ... - იკითხა მზარეულმა.

- ე, იქინე კუთხეში ორი წინილა რომ ზიენ დაა ... - უპასუხა ოფიციანტმა და მზარეულს ახალგაზრდებისკენ მიანიშნა.

მზარეულმა ყვითლებში გამონყობილი ქალ-ვაჟი რომ დაინახა, თავისთვის ჩაილაპარაკა:



- დედაა, რაი არ ხდება მემლექეთში დაა...

სალამოს, როდესაც გუგა და რუსა ზღვის პირას ისხდნენ და მზის ჩასვლის სანახაობით ტკბებოდნენ, გუგამ უთხრა რუსას:

- ლამაზია აქ ყველაფერი, მაგრამ მე მთა უფრო მიზიდავს. ხომ არ წავსულიყავით სადმე მთაში?

- მე ზღვა მიყვარს, - მიუგო რუსამ, - ჩემს დაქალებს მთა არ უყვართ და მე მარტო როგორ წამოვიდე?

- არ მენდობი, რუსა? - იწყინა გუგამ

- როგორ არ გენდობი, მაგრამ...

- აღარ გააგრძელო, - შეანყვეტინა სიტყვა გუგამ, - ხვალვე დავგეგმავ რაჭას ან სვანეთს და წავიდე.

რუსამ შეხედა გუგას, გაულიმა და უთხრა:

- რაჭაში ნამყოფი ვარ ...

- მაშინ სვანეთი! - წამოიძახა გუგამ და მალევე განაგრძო, - უარს თუ მეტყვი გული გამისკდება!

რუსამ ზღვის ჰორიზონტისკენ გაიხედა, ჩამავალ მზის სხივებს კიდევ ერთხელ შეხედა, მერე დაფიქრდა და დაღონებულმა წარმოთქვა:

- ჩემებს უნდა შევუთანხმო.

\* \* \*

ორი დღის შემდეგ, რუსა თავის დაქალებთან ერთად, გუგას „ტოიოტათი“ სვანეთისკენ მიჰქროდნენ. ის ორი დღე ძალიან მძიმე და დაძაბული გამოდგა ოთხეულისთვის. რუსას თავის მშობლებმა ნინას და თეკლას გარეშე გადაადგილება აუკრძალეს, ხოლო ამ უკანასკნელთა მშობლებმა სანამ არ გაარკვიეს ვინ იყო გუგა მიქელაძე, გოგონებს მასთან ურთიერთობაზეც კი უარი უთხრეს. გუგასთვის კი ის ორი დღე ორ საუკუნედ იქცა. ლოდინმა და ნერვიულობამ ისე დალაღა, რომ ღამითაც ვერ იძინებდა. მის გონებასა და სხეულს სიყვარულის ალმური მოსდებოდა. ასეთი რამ აქამდე განცდილი არ ჰქონდა და თვალის დახუჭვის



იმიტომ ეშინოდა, რომ ეს ტკბილი ცხადი სიზმარი სხვა სიზმრით არ ჩანაცვლებულიყო. ყოველ წუთს ღმერთს ევედრებოდა, რომ მისთვის დახმარება გაენია რუსასთან სასიყვარულო ურთიერთობის დამყარებაში. გუგა მარტო ცხოვრობდა მშობლების მიერ დატოვებულ სამოთახიან ბინაში. მამა და დედა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა და სულ იმის ძიებაში იყო, როგორ გაეგრძელებინა ცხოვრება. მარტოსული ველარ ძლებდა, ამიტომ ეძებდა ცხოვრების თანამგზავრს. რუსასთან შეხვედრის შემდეგ, რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მან ის იპოვა და ახლა მისი დაკარგვა დიდი ტრაგედია იქნებოდა ისედაც გულნატკენი ჭაბუკისთვის.

მშობლების თანხმობის შემდეგ, ოთხეულის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ხოლო რუსა და გუგა განსაკუთრებულ ნეტარებაში იყვნენ. გუგა იჯდა საჭესთან, მიაქროლებდა ავტომობილს და ეგონა, რომ ის საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში კი არ მიდიოდა, არამედ საყვარელ ადამიანთან ერთად ზეცაში მიფრინავდა. არც რუსა გრძნობდა თავს უემოციოდ. იჯდა ავტომანქანის სავარძელში გუგას გვერდზე და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „წუთუ მართლა ეს იყო მისი ბედნიერების დასაწყისი თუ სხვა რაიმეს უმზადებდა მას უფალი? სად მიდიოდა? რა უნდოდა მესტიაში, როდესაც მას მხოლოდ ბათუმში უნდა დაესვენა და მერე დაბრუნებულიყო თბილისში? ამბობენ: „ბედნიერება არ არსებობსო!“ აი, თუ არ არსებობს! აბა, ეს რა არის!? ...“

რუსას ფიქრი ნინას სიტყვებმა შეაწყვეტინა:

- აი, სილამაზეც ამას ჰქვია!

სვანეთისკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს აღმართულმა ფოთლოვანი ტყით დაფარულმა მთებმა ახალგაზრდების ყურადღება მიიქცია. არნახულმა სილამაზემ თავისი გაიტანა და ავტომობილში მხოლოდ ჩართული მუსიკების ხმა ისმოდა. ბოლოს, სიჩუმე ისევ გუგამ დაარღვია:

- ახლა, ნელა-ნელა აღმასვლას ვიწყებთ და მალე ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა ვიქნებით და იქ ისეთ სილამაზეს ვიხილავთ, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

- არ შეგვცვივა? - იკითხა თეკლამ და მალევე განაგრძო, - ამიტომ არ მიყვარს მთა, სიცივე ჩემთვის ტანჯვაა და ზამთარიც იმიტომ მეჯავრება.

- არა. სალამოს შეიძლება ცოტა აგრილდეს და სასიამოვნოც კი იქნება, - უპასუხა გუგამ, - არ ინერვიულოთ, ისეთ სასტუმროში დავბინავდებით, რომ დისკომფორტს ვერ იგრძნობთ.

- კუბდარებს ხომ გვაჭმევენ? - არ ისვენებდა თეკლა, - ამბობენ სვანეთში მომზადებული კუბდარი მართლა გემრიელიაო.

- კუბდარსაც გასინჯავთ და ფეტვის ხაჭაპურსაც.

- ფეტვის ხაჭაპური როგორია? ყველის მაგივრად ფეტვი დევს? - გაეცინა თეკლას.

- არა. ხაჭაპურის შიგთავსი ფეტვით არის შეზღუდული. მაგარი გემრიელია, - უპასუხა გუგამ და თან შეეკითხა, - მერწვი გასინჯული გაქვს?

- რა ნერწყვი! არ გადამრიო! - იკივლა თეკლამ, - ეგ რაღაა?

- ნერწყვი კი არა მერწყვი, კარტოფილში აზელილი სულგუნი, ძალიან გემრიელია, - გაელიმა გუგას და მანქანას სიჩქარე გამოუცვალა, - ასე რომ, როგორც იტყვიან: „გაგონილს ნანახი სჯობს“. მალე ავალთ მესტიაში და ყველაფერს თქვენი თვალით იხილავთ.

ფოთლოვანი ტყეები მალე წინვოვანმა ჩაანაცვლა და მთათა ალპური ზონაც გამოჩნდა.

\* \* \*

მესტიამ დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდებზე. გუგას მიერ დაჯავშნული ნომრები სასტუმრო „სამშობლოში“ მართლაც კეთილმოწყობილი აღმოჩნდა. გოგონები სამადგილიან აპარტამენტში დაბინავდნენ, ხოლო გუგა მათ გვერდით ორადგილიან ნომერში.

მეორე დღეს, საუზმის შემდეგ, გეზი ჰანვალისკენ აიღეს და საბაგირო გზით მთებისკენ გაემართნენ. მთებით, ტყეებით და მყინვარებით დახუნძლულმა სილამაზემ დიდი შთაბეჭდილე-



ბა დატოვა ახალგაზრდებზე. ისინი მხოლოდ ფოტოსურათების გადაღებისას ეკონტაქტობოდნენ ერთმანეთს, დანარჩენ დროს კი ხმისამოუღებლად ტკბებოდნენ ღმერთის მიერ შექმნილი ბუნებით. ენითაუნერელი სილამაზე იშლებოდა მათ თვალწინ. ამ მშვენიერების შემხედვარე ადამიანს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, რომ თითქოს ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული მთებიდან და მყინვარებიდან, სადაცაა გამოვიდოდნენ დევები და ერთმანეთს დაეჭიდებოდნენ, ხოლო საბაგირო გზით დაშვებისას მთის არწივი ჩაგიქროლებდა და თავისი ბრიალა ყვითელი თვალებით მრისხანედ შემოგხედავდა და თითქოს გეტყოდა: „ჩემს საბრძანებელში რა უფლებით შემოხვედიო!“

ახალგაზრდებმა ჰემკილის ქოხების ტერიტორიაზე დამონტაჟებულ საქანელებზეც მოიკლეს ყინი და დაღლილ-დაქანცულები სასტუმროში დაბრუნდნენ. ვინაიდან სადილის დროს გასულები იყვნენ, სასტუმროს მზარეულებმა სადილის და ვახშმის სუფრა ერთად დაახვედრეს და მთის ჰაერზე მოშეიბულები სვავებივით დააცხრნენ საჭმელს. იყო კუბდარების და ხაჭაპურების „ცვენა“. კარგად დანაყრდნენ და მთელი დღის ნამგზავრები და შთაბეჭდილებებით აღსავსენი დასასვენებლად წავიდნენ. იმ ღამეს, ოთხიდან ორს არ ეძინა - გუგას და რუსას. არცერთს არ უნდოდა, რომ ეს ზღაპრული მოგზაურობა ძილში გადასულიყო, არ უნდოდა, რომ სიზმრებით სხვა სამყაროში მოხვედრილიყვნენ, რადგან რაღაც უხილავისადმი ასეთ შინაგან ლტოლვას სხვაგან ვერ ჰპოვებდნენ და ამიტომაც ამ სივრციდან გასვლა არცერთს არ უნდოდა.

დილით ახალგაზრდები თეთნულდისკენ - სვანეთის პატარძალისკენ გაემართნენ. ნინა და თეკლა, როგორც ყოველთვის, კარგ ხასიათზე იყვნენ და ათას რამეზე საუბრობდნენ, ხოლო გუგა და რუსა ხმას არ იღებდნენ. ერთს ავტომობილის საჭე ეპყრა ხელთ და სვანეთის მიხვეულ-მოხვეულ გზებს აკვირდებოდა ყურადღებით, ხოლო მეორე - მთებს და აქა-იქ წამოჭიმულ კოშკებს.

- რა გჭირთ, ხალხო!? - იკითხა ნინამ და თეკლას თვალი ჩაუკრა, - ეტყობა, ყვითელ ფერს რომ ვერ ხედავთ, ხასიათი წაგიხდათ!

- აბა... სულ მწვანე და თეთრი ფერია გარშემო. - დაამატა თეკლამ.

გუგამ და რუსამ ერთმანეთს გადახედეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთ-ერთ მათგანს კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა. გუგამ მოკლედ უპასუხა:

- თეთნულზე სალაპარაკოდ ვინახავთ სიტყვებს. რაც შეეხება ყვითელ ფერს, ის დროებით დაბლა, ბარში დავტოვეთ.

- არსად დაგეკარგოთ თქვენი სიცოცხლის ელექსირი. - თქვა ნინამ და თეკლასთან ერთად გადაიკისკისა.

- არ ინერვიულოთ, საიმედო ხელშია. - ღიმილით უპასუხა გუგამ და თეთნულდისკენ მიმავალი საბაგირო გზის მიმართულებით შეატრიალა ავტომობილი.

ახალგაზრდებს თეთნულდისკენ მიმავალი საბაგირო გზა დაკეტილი დახვდათ და ამიტომ ისევ ავტომობილით გაემგზავრნენ მწვერვალისკენ. გზა ნორმალური გამოდგა და საბაგირო გზის ბოლო სადგურამდე მშვიდობით ავიდნენ.

თეთნულდის გადმოსახედიდან დანახულმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ახალგაზრდები ცალ-ცალკე მიმოდიოდნენ და ასე აღიქვამდნენ ბუნების მშვენიერებას. ოთხი მობილური ტელეფონი ტრიალებდა სივრცეში და უამრავ ფოტოს და ვიდეოს იღებდა.

გუგა ავტომანქანისკენ წავიდა, მალევე მობრუნდა და რუსას სთხოვა გაჰყოლოდა იქვე მდებარე გადასახედისკენ.

- იქ რა გინდა? - ჰკითხა რუსამ, - რაც აქედან ჩანს, იქიდანაც იგივე არ გამოჩნდება?

- აქედან ერთი მწვერვალი არ ჩანს კარგად, - მიუგო გუგამ და თან გაელიმა, - სანამ გოგონები სელფებს იღებენ, ჩვენ იქიდან გადავხედოთ სვანეთს.

რუსამ ხელი ჩაიქნია და გაჰყვა გუგას. როდესაც გადასახედზე ავიდნენ რუსამ იკითხა:



- აბა, რომელია ის მწვერვალი? იქნებ დამანახო?

გუგამ ხელი გაიშვირა მწვერვალებისკენ, თითქოს ყველას დასახელებას და დახასიათებას აპირებოდა და ასე ბრუნვა-ბრუნვით მოვიდა რუსამდე, მასთან შეაჩერა ხელი და წარმოთქვა სიტყვები, რომელიც მართლა გულიდან იყო ამოღებული:

- ეს მწვერვალი შენ ხარ რუსა და ზღვიდან სამი კილომეტრის სიმაღლეზე იმიტომ ამოვედი, რომ შენ იქიდან ვერ შეგწვდებოდი და შენს სილამაზეს და კეთილშობილებას ვერ გავაცნობიერებდი. შენ ყველაზე ლამაზი მწვერვალი ხარ მსოფლიოში და მე შენ მიყვარხარ... მიყვარხარ! ამ სიტყვის სათქმელად ჩვენი გაცნობის პირველი დღიდან ვემზადებოდი, მაგრამ შესაფერისი ადგილი ვერ მოვძებნე, რადგან სიყვარული ამაღლებული გრძნობაა და მას განსაკუთრებული სიმაღლე სჭირდება ...

რუსა დაიბნა. გუგასგან ასეთი თბილი სიტყვების თქმას ელოდებოდა, მაგრამ რეალობის წინაშე რომ დადგა, თითქოს შეყოყმანდა და წასვლაც გადაწყვიტა... ნაბიჯიც გადადგა და ნაწილობრივ ზურგიც შეაქცია სიყვარულით აღტკინებულ ჭაბუკს, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ შეაჩერა და ისევ შემობრუნდა... გუგას, ამ დროს, ხელში ბუდეში ლამაზად ჩადებული ბრილიანტის-თვლიანი ბეჭედი ეკავა და როგორც კი რუსამ თვალებში შეხედა, მაშინვე აღმოხდა სიტყვები:

- მე შენ მიყვარხარ და მსურს, რომ ცოლად გამომყვე ...

- გუგა... - ძლივს წარმოთქვა რუსამ.

- რუსა, ნუ მეტყვი უარს... ყველა მწვერვალი ჩვენ გვიცქერის და შენს თანხმობას ელის... შენ ხომ თეთნულდივით მათი პატარა პატარძალი ხარ... პატარა თეთნულდი...

- მშობლები... - სცადა რუსამ ისევ საუბრის დანყება.

- შენმა მშობლებმა რადგან მანდეს შენი თავი, არა მგონია უარი თქვან ჩვენს შეუღლებაზე... მთავარია, შენ გიყვარდე და გსურდეს ჩემთან ყოფნა...

რუსას ლოყები აუნითლდა, სხეულში არაამქვეყნიური სიმსუბუქე იგრძნო და გული აუჩქროლდა. ცოტაც წაიბორძიკა... გუ-

გამ ხელი შეაშველა და ამ დროს რუსა მის მკლავებში აღმოჩნდა... გუგამ მკერდზე სისველე იგრძნო... ეს რუსას სიყვარულის ცრემლები იყო... ქალი და ვაჟი დიდხანს იყვნენ ასე ერთმანეთთან ჩახუტებულნი...

ბოლოს, რუსამ თავი ასწია, ნამტირალევი თვალებით გუგას შეხედა და ჩუმად წარმოთქვა:

- მე... მე... თანახმა ვარ...

გუგას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უნდოდა ამ ლამაზი გადასახედიდან მთელი ხმით ეყვირა, რომ ის ყველაზე ბედნიერი ადამიანი იყო დედამინის ზურგზე, მაგრამ უცებ გოგონები გაახსენდა და მათკენ გაიხედა. ნინას და თეკლას მოემარჯვებინათ მობილური ტელეფონები და შეყვარებულ წყვილს სხვადასხვა რაკურსით უღებდნენ სურათებს.

გუგამ რუსას თმებზე გადაუსვა ხელი, შუბლზე აკოცა და უთხრა:

- ძვირფასო, მწვერვალები არ ტირიან, ისინი ამაყად დგანან ყოველთვის, რადგან უმანკონი და წმიდანი არიან... მადლობა შენ, ჩემო სიცოცხლე, ყველაფრისათვის.

\* \* \*

სასტუმრო „სამშობლოს“ მეპატრონემ მაიზერ გულბანმა გაიგო რა, თეთნულდიდან მობრუნებული შეყვარებული წყვილის ამბავი, არსად აღარ გაუშვა ახალგაზრდები და ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად დაწესებულების ხარჯზე გაშალა სადღესასწაულო სუფრა, მიულოცა გუგას და რუსას გაბედნიერება და ხმამაღლა განაცხადა:

- ჩემს სასტუმროში ახალი ოჯახის შექმნა პირველად მოხდა და ამიტომ გთავაზობთ, რომ თაფლობის თვე აქ გაატაროთ - მესტიაში, ჩვენს სასტუმროში. არაფერი გექნებათ გადასახდელი და ისე ვიზრუნებ თქვენზე, როგორც საკუთარ შვილებზე.

- დიდი მადლობა, ბატონო მაიზერ, - მიუგო გუგამ, - ჯერ ჯვარი არ გვაქვს დანერილი ...



- მერე დაინერეთ! - თქვა გაოცებულმა მაიზერმა, - ეკლესიების მეტი რა გვაქვს! მეჯვარეები კი გყავთ აგერ ლამაზი გოგონები. პურ-მარილი ჩემზე იყოს და დარჩით აქ ჰაერზე, რა გინდათ თბილისში, ინვება იქ ყველაფერი!

სუფრის წევრებიც ერთხმად დაეთანხმნენ მაიზერს და ტაშითაც აღნიშნეს ეს მოვლენა.

მეორე დღეს ახალგაზრდებმა გვიან გაიღვიძეს, მაგრამ მაინც გადანყვიტეს უშგულის სანახავად წასულიყვნენ. გზა სანახევროდ დანგრეული იყო და ამიტომ შუადღეს მოუწიათ უშგულში ასვლა. რა თქმა უნდა, უძველესი სვანური სოფლის ნახვამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდებზე. ლამარიას კოშკში მდებარე ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მოლოცვისას გუგა ღვთისმშობლის ხატთან შეჩერდა, სანთლები დაანთო და დედაღვთისას შეავედრა თავისი და რუსას სიყვარული და უფლისგან კურთხეული ძღვევამოსილი კალთის გადაფარება სთხოვა. ამ დროს რუსაც მიუახლოვდა გუგას, ღვთისმშობლის ხატს შეხედა და პირჯვარი გადაინერა. ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. ამ პატარა ეკლესიაში გუგას და რუსას გარდა არავინ იყო. ნინა და თეკლა იმავე ტაძარში მდებარე წმიდა თამარ მეფის სახელობის ეკვდერში ანთებდნენ სანთლებს. ის იყო გუგამ და რუსამ ეკვდერში გასვლა დააპირეს, რომ ღვთისმშობლის ხატიდან ხმა შემოესმათ, რომელიც თითქოს ექოს გამოსცემდა:

- რალას ელოდებით, დაინერეთ ჯვარი! ზეგიდან ჩემი მიძინების მარხვა იწყება და ნუ გადადებთ ...

რუსას შეეშინდა და გუგას მიეკრა მთელი სხეულით. გუგა გაოგნებული უყურებდა ღვთისმშობლის ხატს და ვერ გაეცნობიერებინა რა მოხდა. შემდეგ რუსას შეხედა და ჰკითხა:

- რუსა, შენც გაიგონე თუ მე მომესმა?

- გავიგონე, გუგა... სულ ვკანკალებ... რა ვქნათ?

გუგამ და რუსამ პირჯვარი გადაინერეს და ეკლესიიდან გამოვიდნენ. ნინა და თეკლა ლამარიას კოშკის ხედზე მობილური ტელეფონებით სელფებს იღებდნენ, ხოლო გალავნის შემოსასვ-

ლელ კუტი კართან მღვდელი იდგა, ეკლესიიდან გამოსულ გუგას და რუსას უყურებდა, იღიმებოდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მათ ელოდებოდა. გუგა არც დაფიქრებულა ისე გაემართა მამაოსკენ, შეტყუებული ხელის გულები წინ გასწია, ბეჭებში მოიხარა, თავი დაბლა დახარა და წარმოთქვა:

- დამლოცე, მამაო!

- ღმერთმა დაგლოცოს, შვილო! - მიუგო მღვდელმა, ჯვარი გადასახა და გუგას თავზე მარჯვენა ხელი დაადო.

გუგა მოუყვა მამაოს, რაც გადახდა თავს და ტაძარში ღვთისმშობლის ხატიდან გაგონილზეც მოუთხრო.

- მარტო რომ ვყოფილიყავი, ვიფიქრებდი მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ ჩემმა მომავალმა მეუღლემაც გაიგონა ეს ხმა.

მამაოს გაეღიმა, კიდევ ერთხელ გადასახა გუგას ჯვარი და უთხრა:

- შვილო ჩემო, შემთხვევით არაფერი ხდება სამყაროში, ყველაფერს უფალი განაგებს. თქვენ ბედნიერები ხართ, რომ ღვთისმშობელმა დაგლოცათ და კურთხევა მოგცათ ქორწინებისა. ასე რომ, მარხვის დაწყებამდე ნებისმიერ ეკლესიაში შეგიძლიათ დაინეროთ ჯვარი.

- მამაო, თქვენ ვერ დაგვწერთ ჯვარს? გამოცხადება აქ გვექონდა და სხვაგან არ მინდა ჯვრის დანერა. - თქვა გუგამ და მამაოს მონყალების თვალით შეხედა.

- რა თქმა უნდა, დაგწერთ ჯვარს, - მიუგო მამაომ, - მაგრამ ახლა მარიამობის მარხვა იწყება და ერთმანეთთან ურთიერთობისაგან თავი უნდა შეიკავოთ. ხომ მიმიხვდით?

- ყველა პირობას შევასრულებთ, მამაო! - წამოიძახა გახარებული გუგამ.

- პატარძალი თანახმაა? - გაეღიმა მამაოს და რუსას შეხედა.

რუსამ დაიმორცხვა და თავჩაღუნულმა წარმოთქვა:

- ღვთისმშობლის სიტყვებმა ისეთ შოკში ჩამაგდო, რომ აქედან ჯვარდაუნერელი თუ გავალ, შეიძლება რაღაც შემემთხვეს. ამიტომ დაგვდეთ პატივი, მამაო, და ჯვარი დაგვწერეთ.



- კარგით მაშინ. მეჯვარეები გყავთ?
- ჩემი დაქალები არიან აქ. - უპასუხა რუსამ.
- უხმეთ მაშინ და მათი თანდასწრებით ჩავატაროთ ჯვრისწერის მსახურება.

ჯვრისწერის რიტუალის მიმდინარეობის დროს კიდევ ერთი სასწაული მოხდა. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში თითქოს სივრცე გადიდდა და დიდი ეკლესიის სახე მიიღო, შორიდან გალობის ხმაც კი ისმოდა, თუმცა მგალობლები არ ჩანდნენ.

ახალგაზრდებმა მადლობა გადაუხადეს მღვდელს, კურთხევა აიღეს და გაემგზავრნენ უშგულიდან მესტიაში.

ოთხივენი მომხდართი ისე იყვნენ გაოგნებულნი, რომ მესტიამდე არც ერთ მათგანს ხმა არ ამოუღია.

\* \* \*

მესტიაში მისულებს უცნაური სანახაობა დახვდათ. უამრავი მანქანა მოძრაობდა ქუჩაში, ხალხიც თითქოს პანიკაში იყო და აქეთ-იქით გარბოდნენ.

- რა ხდება? - იკითხა ნინამ, - ტურისტების შემოსევაა თუ?.. ყველას ახლა მოუნდა სვანეთში ამოსვლა?

- ალბათ ძალიან დაცხა ქვევით და მთას მოაშურეს! - წამოიძახა თეკლამ და ჩვეული კისკისით სცადა მგზავრობით დაღლილი მეგობრების გამხსნევა.

- რატომღაც ეს ტურისტულ ნაკადებს არ ჰგავს, - თქვა გუგამ და მანქანით სასტუმროსკენ მიმავალ ჩიხში შეუხვია, - რალაც ხდება...

სასტუმროს ეზოში შესულებს უფრო დიდი ამბები დახვდათ. სტუმრები პირად ნივთებს ავტომობილების საბარგულში უწესრიგოდ ჰყრიდნენ, ეტყობოდათ, რომ ჩქარობდნენ. სასტუმროს მეპატრონე მაიზერი კი იდგა ეზოს ცენტრში და ერთი და იგივეს იმეორებდა:

- წასვლა თქვენი ნებაა, მაგრამ უკვე ჩაკეტეს რაიონი და ისევ უკან მოგიწევთ მობრუნება!

- გაგვიშვებენ, მაიზერ, გაგვიშვებენ!.. - არ ცხრებოდა ახალ-გაზრდა კაცი და ჩემოდნებს სწრაფად ალაგებდა ავტომანქანის საბარგულში, - როგორ, პატარა ბავშვებით ვარ და ფეხმძიმე მუ-ულლით როგორ არ გამიშვებენ!?

- მე ჩემი გითხარი! - ამბობდა ალელვებული მაიზერი და თან მობილურ ტელეფონს ჩაჰკირკიტებდა, - ისევ უკან მოგინვეს მოსვლა და ამიტომ შენ ნომერს შეგინახავ!

გუგა როგორც კი გადმოვიდა ავტომანქანიდან, მაშინვე იკითხა:  
- რა ხდება, ხალხო?

- კორონა აღმოჩენილა სოფელ ლენჯერში და მთელი მესტიის რაიონი გადაკეტეს! - უპასუხა მაიზერმა, - ჰოდა, აგერ გარბის ხალხი, რომ კარანტინში არ მოხვდნენ. ვინც გაასწრო ნავიდა და ვინც ვერა აქ მოუნვეთ კარანტინის გავლა.

- ესე იგი გალწევის ვარიანტი არ არის? - ჰკითხა მაიზერს გუგამ.

- არა! გეფიცები! რომ იყოს მე თვითონ დაგეხმარებოდი! - უპასუხა მაიზერმა.

- აუჰ! - აღმოხდა გუგას, - რომ მცოდნოდა უშგულიდან ლენტეხისკენ ნავიდოდი და გავასწრებდი. გზაც კარგია, ახალი და-გებულია.

- ასე გეჩქარება, კაცო!? - გაიცინა მაიზერმა, - გუშინ ჯვრის-ნერაზე ლაპარაკობდი და...

- ჯვარი უშგულში დავინერეთ, - შეანწყვეტინა სიტყვა გუგამ, - და თბილისში ვაპირებდით წასვლას.

- გილოცავთ, კაცო! - ნამოიძახა გახარებულმა მაიზერმა, - აბა, მაშინ რა გინდათ ცხელ თბილისში!? აგერ, აქ დარჩით, საქორწი-ლო მოგზაურობა ამაზე კარგ ადგილას სად უნდა გაატაროთ!?

- მერე კორონა? - გაეცინა გუგას.

- შენ შაყირობ და მე კარგ რამეს გეუბნები, - იწყინა მაიზერმა, - თოთხმეტი დღე რომ იყო კარანტინში, უნდა ჩაიკეტო სასტუმ-როში ან იზოლირებულ სახლში. ხოლო რომ არ ჩაიკეტო ოცდარ-ვა დღე უნდა იყო კარანტინში და უფლება გაქვს ჩვეულებრივად გადაადგილდე მხოლოდ მესტიის რაიონში, როგორც ადგილობ-



რივი მაცხოვრებელი. თოთხმეტდღიან კარანტინში ყველა ხარჯებს სახელმწიფო იღებს თავის თავზე, ხოლო ოცდარვადღიანისას თვითონ მოქალაქე...

- მაიზერ, - შენყვევინა სიტყვა გუგამ, - თოთხმეტი დღე ჩაკეტილი ჩვენ აქ ვერ გავძლებთ და ოცდარვა დღე მარტო სასტუმროს გადასახადი „დაგვახრჩობს“ - დღეში ორას ორმოცი ლარი...

- მოიცა, კაცო! დამამთავრებინე! - წამოიძახა აღელვებულმა მაიზერმა, - რას ჩქარობ! მასე ოჯახს ვერ შექმნი თუ იჩქარე! შენ თუ ქრისტიანი ხარ, მეც ქრისტიანი ვარ და ვიცი, როგორ უნდა დავეხმარო მოყვასს! მით უმეტეს ახალდაოჯახებულს! მე მაქვს აქ მესტიაში ორსართულიანი სახლი, სადაც არავინ ცხოვრობს. ყველაფერია იქ, რაც თქვენ ქალაქელებს გჭირდებათ - ცხელი და ცივი წყალი, კონდინციონერი, სამზარეულო თანამედროვე აღჭურვილობით, როგორც აქ, ჩემს სასტუმროში. საჭმელ-სასმელი არ მოგაკლდებათ, მანქანა კი გაქვთ და იარეთ აქეთ-იქით და დაათვალიერეთ სვანეთი!

- მე თბილისში მინდა წასვლა! - წამოიძახა ნინამ და ავტომობილის უკანა სარკმლიდან გამოყო თავი.

- თუ წასვლა გინდათ, - თქვა მაიზერმა, - თბილისში მოგინევთ თოთხმეტდღიანი კარანტინის გავლა, აქედან კიდევ პატრული გაგაცილებთ. ნება თქვენია, მე ჩემი შემოგთავაზეთ.

ბევრი ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ, ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, რომ ნინა და თეკლა მიკრო ავტობუსით წავიდოდნენ თბილისში და იქ გაივლიდნენ სავალდებულო კარანტინს, ხოლო გუგა და რუსა დარჩებოდნენ მესტიაში მაიზერის მიერ შემოთავაზებულ სახლში.

მეორე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში წამსვლელი ტურისტები დაიბარეს მესტიის ცენტრში, აღრიცხეს და მოამზადეს გასამგზავრებლად. ნინას და თეკლას მიკრო ავტობუსით მოუწიათ წასვლა. ავტომობილების სადგომზე უტრანსპორტო ტურისტების მომსახურებისთვის ორი მიკრო-ავტობუსი იდგა, ერთი თეთრი ფერის, მეორე კი -

ყვითელი. ვინაიდან თეთრი ფერის მიკრო ავტობუსში ადგილები აღარ იყო, გოგონები მეორე მიკრო-ავტობუსში ჩასხდნენ. გუგა და რუსა ემშვიდობებოდნენ მეგობრებს და თან იცინოდნენ. ნინამ, როგორც სჩვეოდა, სარკმლიდან გამოყო თავი და გასძახა ახლადდაქორწინებულებს:

- რა გაცინებთ!? თქვენც ახლა პარიზში რჩებით საქორწინო მოგზაურობაში!

- სადაც სიყვარულია, ჩემო კარგო, - უთხრა რუსამ, - ჩვენი პარიზიც იქ არის.

არც თეკლა ჩამორჩა ნინას და გაღიმებულმა წარმოთქვა:

- მე, მაგალითად, ასეთ სიტუაციაში არ გავთხოვდებოდი.

- თქვენც ასე მოგიწევთ ალბათ. - თქვა რუსამ და ასევე გაღიმებულ გუგას ჩასჭიდა ხელი.

- ვითომ რათათ? - ნიშნის მოგებით იკითხა ნინამ.

- მარშრუტკაში რომ ადიოდი ფერს შეხედე? - ჰკითხა გუგამ.

ნინამ ახლალა დახედა მიკრო ავტობუსის ყვითელ ფერს და იკივლა:

- სხვა მარშრუტკა არ არის!?

ნინას ნაღვლიანი თუ სიკეთით ამოკივლება პატრულის ავტომანქანიდან რაციით გავრცელებულმა ხმამ გადაფარა:

- ყველა მძღოლის საყურადღებოდ! ავტომანქანების კოლონა ხუთ წუთში დაიძვრება თბილისისკენ! გთხოვთ, უზრუნველყოთ ნესრიგის დაცვა! ...

\* \* \*

რამდენიმე დღეში, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მესტიაში აღარც ყვითელი ფერის ავტობუსები ჩანდნენ და აღარც ჩინელები. რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ხელისუფლება ყვითელ ფერს ებრძოდა. ამ ყველაფერს დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა. მათ ყვითელი ფერის ალერგია დაემართათ. რაიონში საყოველთაო პანდემიის გამოცხადებამდე, ნინასაარჩევნოდ „ლელო საქართველოსთვის“ პარტიის ყვი-



თელი ფერის ბილბორდები იყო გამოფენილი. როგორც სხვადასხვა ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე მითითებული წარწერები იუნჯებოდა, თიბისი ცენტრს, როგორც ჩანდა, დიდი წვლილი შეუტანია სპორტული და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში და ამიტომაც მესტიის მოსახლეობის დიდი ნაწილიც ემზადებოდა საპარლამენტო არჩევნებში მათთვის ხმის მისაცემად. ამის გამო ხელისუფლებამ ყველაფერ ყვითელს შეუტია.

რუსა თავის საყვარელ ყვითელი ფერის თავსაფარს არ იცილებდა, სულ თავზე ჰქონდა მოხვეული და ისე გადაადგილდებოდა ყველგან.

- რუსა, შენი ყვითელი თავსაფარის გამო რომ პრობლემები შეგვექმნას, როგორ ფიქრობ, რას გვიზამენ? - ეხუმრებოდა გუგა მეუღლეს.

- რაც უნდა ის ქნან, - უპასუხა რუსამ, - ჩემი ბედნიერების სანყისი ეს თავსაფარია და ამას არასდროს დავთმოძ.

- თან თიბისი ჩვენი ბანკების კონკურენცია და ვის აწყობს მისი გაძლიერება. - იცინოდა გუგა.

- როგორც ჩანს, ეს პანდემიაც მაგის გულისთვის ააგორეს, თორემ მთებში რა უნდა კორონას? - არ ცხრებოდა რუსა.

- აბა, - დაეთანხმა გუგა, - ზღვისპირეთში ამდენი ხალხი მიდი-მოდის და იქ არ არის ვირუსი?

- საჩვენებლად ერთი-ორი შემთხვევა ქობულეთში დააფიქსირეს, ისევ ხალხის დაბოლებისთვის, - თქვა რუსამ, ჩვეულები-სამებრ მოიხსნა თავსაფარი, თმა გადაიწია უკან, ისევ მოირგო თავისი თილისმა და განაგრძო, - სად ვცხოვრობთ!? ტყუილების მორევში!

- რას იზამ, კიდევ ოცი დღე უნდა მოვითმინოთ, - სცადა გუგამ რუსას დამშვიდება, - იქნებ მუზეუმები მაინც გახსნან, დავათვალიერებდით, თორემ მთებში სიარული უკვე მოსაწყენი გახდა.

სალამოს ახალგაზრდებს მაიზერი ესტუმრა.

- აბა, როგორ ხართ, უშგულში დაქორწინებულეობ?

- კარგად, ბატონო მაიზერ. - უპასუხა გუგამ.

- ბატონს ნუ მეძახი! - იწყინა მაიზერმა, - სვანეთში ბატონობა რა არის არ იციან! შენ ეგ მითხარი, როგორ ხართ!?

- კარგად, მაიზერ, თქვენი წყალობით, ხოლო მამაოს კურთხევით ვიცავთ მარხვას, - მიუგო გუგამ, - იმდენი რამ მოგაქვთ, მართლა ვერ ვერევი და გადასაყრელადაც გვენანება. ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, მეზობლებსაც ვერ ვთავაზობთ. ამ „ყურით მოთრეულმა“ კორონამ დაგვაშორა ერთმანეთს.

- შენ მაგაზე ნუ დარდობ, გუგა, ეგ არაფერია! - თქვა მაიზერმა, მერე სახლში განთავსებულ კაბინეტში შევიდა, უჯრიდან საქალაქად ამოიღო და ისევ გუგას მიუბრუნდა, - ამის წასაღებად მოვედი, სახლის პროექტია.

- რამის შეცვლას აპირებთ? - იკითხა გუგამ.

- არაა! შესაცვლელი აღარაფერია, - უპასუხა მაიზერმა, - პრობლემა შეგვექმნა. კორონას გამო ტურისტული სეზონი გაჩერდა და ბანკის ვალების გადახდის გრაფიკი დაგვერღვა.

- მერე? - დანტერესდა გუგა. - რას აპირებთ?

- ბანკმა გადავადებისთვის გირაო მოითხოვა და სასტუმრო რომ არ დავაგირაო, ისევ სახლს ჩავდებ. თქვენ არ ინერვიულოთ, თქვენ არ შეგეხებიან და არც არავინ მოვა აქ!

- და სახლის ჩადება აუცილებელია? - ჰკითხა გუგამ.

- ჰო! ასე მოითხოვა ბანკმა.

- რომელი ბანკია? - იკითხა რუსამ.

- იელოუბანკი, ძლივს დავიმახსოვრე ეს სახელი! - გაეცინა მაიზერს, - სულ სამი თვე მიჭირს, მერე ჩემი ძმა გამომიგზავნის თანხას რუსეთიდან და ისევ გამოვიხსნი!

გუგას ბანკის სახელის გაგონებაზე გაეცინა, რუსას შეხედა და უთხრა:

- აქაც ყვითელი?

- იცნობ იქ ვინმეს? - გაელიმა რუსას.

- ისე შენ უნდა იცნობდე, ყვითელია ... - არ ცხრებოდა გუგა, - კი. მმართველი ჩემი ძმაკაცია, ჩვენი ბანკის შვილობილი ბანკია.

- თქვენ რა, ბანკირები ხართ!? - გაიკვირვა მაიზერმა.



- დიახ, მაიზერ, - უპასუხა გუგამ და მობილური ტელეფონი მოიმარჯვა.

გუგამ მობილურ ტელეფონზე საუბრისას მაიზერს მხოლოდ ერთი კითხვა დაუსვა:

- ექვსი თვე გეყოფა?

- სამი, სამი! მეტი არ მინდა! - აღელდა მაიზერი.

გუგამ მობილურ ტელეფონზე საუბარი დაამთავრა და მაიზერს უთხრა:

- ექვსი თვე გაგიჩერებენ და არც გირაო დაგჭირდება. საკმარისია?

- კაცო! მალარიჩი მეკუთვნის! გაგახაროთ ღმერთმა! - ხასიათზე მოვიდა მაიზერი.

- მალარიჩი უკვე ნაკისრი გაქვს, მაიზერ, - გაეცინა გუგას, - შენისთანა კეთილ კაცს მალარიჩის გარეშეც უნდა დაეხმაროს ადამიანი.

- გაიხარე, გაიხარე, ჩემო გუგა! - არ ცხრებოდა მაიზერი, - კარგი ყოფილა ყვითელი ფერი, კაცო! ხედავ? რუსუდანი იმიტომ ატარებს მუდმივად ყვითელი ფერის თავსაბურავს!

მაიზერმა სახლის პროექტი თავის ადგილას დააბრუნა და სანამ სახლის ჭიშკრამდე მივიდოდა მადლობის გარდა სხვა სიტყვა აღარ უთქვამს.

გუგამ მაიზერი გააცილა, შემობრუნდა სახლში, რუსას გადაეხვია და უთხრა:

- დიდი ტვირთი მომეხსნა. ამ კაცმა იმდენი პატივი გვცა, რომ სულ იმას ვფიქრობდი მეც მცირედი რამ გამეკეთებინა მისთვის და ახლა ცოტა ამოვისუნთქე.

- ასეა, ჩემო კარგო, ყვითელი ისეთი ფერია, რომ მასზედ ყოველთვის „გაივლი“. ამიტომაც არის ჩემი თილისმა. - ნიშნის მოგებით თქვა რუსამ და მკერდზე მიეკრა გუგას.

\* \* \*

ლენჯერის თემის სოფლების გარდა, გუგას და რუსას მესტიის რაიონის კუთხე-კუნჭული არ დაუტოვებიათ, რომ არ ენახათ. მართალია ძალიან დაიღალნენ, სამაგიეროდ დიდი სიამოვნება მიიღეს და დარწმუნდნენ მრავალჯერ ნათქვამი სიტყვების ჭეშმარიტებაში: „ვინც სვანეთში არ ყოფილა, მას საქართველო არ უნახავს“. ამ არემარის ნახვის შემდეგ, თვით არარელიგიური ადამიანიც ხვდება, რომ ადამის მოდგმა სტუმრები ვართ დედამიწაზე და სამყაროს ბატონ-პატრონი სხვა არის, რომელსაც ღმერთის სახელით მოვიხსენიებთ. ასეთი სილამაზის შექმნა არც ერთ ძალას არ ძალუძს, მით უმეტეს - ადამიანს. ამ ყოველივეს ბარში ნაკლებად ამჩნევს ადამიანი, რადგან მისი ყურადღება მხოლოდ მიწიერი ხედვითა და საქმეებით არის გადატვირთული. აქ კი, საკმარისია შეხედო ზვიადად აღმართულ მწვერვალებს და თავისდაუნებურად სხვა სამყაროში გადადიხარ. რაც გინდა ხასიათზე არ იყო, უცებ სიყვარულის გრძნობა გეუფლება სამშობლოსადმი, მოყვასისადმი და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა შემოქმედისადმი, რომელმაც თავის ერს უბოძა საცხოვრებლად ეს ედემი. გუგა ხშირად ეტყოდა ხოლმე რუსას:

- რა კარგი ნათქვამია: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. ეს კორონა რომ არ ყოფილიყო, ასე ძირის ძირამდე ხომ ვერ დავათვალიერებდით სვანეთს? ვერასდროს გავიგებდით სვანების ასეთ კეთილშობილებას და სტუმართმოყვარეობას.

მეუღლის ამ სიტყვებს კი რუსა ასე პასუხობდა:

- მე კი ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ზღვასთან მენეოდა სიყვარული და ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე დავინერდი ჯვარს პატარა ეკლესიაში, სადაც მღვდელთან ერთად ხუთნი ძლივს დავეტიეთ.

გუგას და რუსას კარანტინის ვადა ისე ამოიწურა, რომ ახალგაზრდებმა ვერც კი იგრძნეს. არც გაამახვილებდნენ მასზედ ყურადღებას კარანტინის ექიმს რომ არ დაერეკა მათთვის. სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, გუგა და რუსა დილით



ადრე თავიანთი ავტომობილით გაემგზავრნენ თბილისში. წინა საღამოს, მაიზერმა და მისმა ოჯახმა გაცილება მოუწყვეს ახალგაზრდებს. დილით საგანგებოდ გამომცხვარი კუბდარები და ხაჭაპურები გაატანეს საგზლად და ბედნიერი მგზავრობა უსურვეს. როგორც კი ქუთაისი მოიტოვეს უკან, ტელეფონმა დარეკა. მობილურში წინას ხმა გაისმა:

- რუსა, თქვენთან გელოდებით.

- რა ხდება? - გაუკვირდა რუსას.

- ეს უკვე სიურპრიზია, - ჩვეული კისკისით უპასუხა წინამ, - მოხვალ და გაიგებ.

- კარგი. მალე მოვალთ, - მიუგო რუსამ, გათიშა მობილური ტელეფონი და გუგას უთხრა, - ამათი ამბავი ხომ ვიცი, ტორტს შეუკვეთავდნენ და რალაც „ბეზდელუშკას“ დაგვახვედრებენ.

ოჯახში დაბრუნებულ გუგას და რუსას დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ რუსას მშობლები, დები, განსაკუთრებით კი დაქალეები - წინა და თეკლა და კიდევ ორი უცნობი ახალგაზრდა ბიჭი.

რუსამ გადაკოცნა ყველა და მერე წინას მიუბრუნდა:

- აბა, სად არის შენი ტორტი?

- რა ტორტი? - შეიცხადა წინამ.

- რავი, სიურპრიზიო და ... - გაოცდა რუსა.

- ააა .... სიურპრიზი, - გადაიკისკისა წინამ, - ტორტი არა, მაგრამ ტორტივით ტკბილი ორი ახალგაზრდა ბიჭი დაგახვედრეთ ...

- თქვენი ახალი მეგობრები არიან? - იკითხა რუსამ.

- არა, - გაიპრანჭა წინა და თეკლას გადახედა, - ჩვენი მეუღლეები.

- რაო?.. როდის?.. სად? - თავს ველარ უყრიდა სიტყვებს რუსა და თან გუგას ხელს ქაჩავდა თავისკენ.

- დიახ, ჩემო კარგო. აბა, რა გეგონათ? მარტო თქვენ იქნებოდით ბედნიერები? - მთელი სერიოზულობით წარმოთქვა თეკლამ, თავის მეუღლესთან მივიდა და ხმამაღლა განაცხადა, - გაცივანით თორნიკე - თოკო!

- ეს კი ლუკაა, ჩემი მეუღლე. - არ ჩამორჩა მეგობარს წინა და ლუკას ჩასჭიდა ხელი.

რუსამ და გუგამ ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩიჩეს. ბოლოს, ისევ გუგამ დაარღვია უხერხული სიჩუმე:

- გილოცავთ, ხალხო!.. კი, მაგრამ როდის?.. სად?.. ან ჩვენ რატომ არ გვითხარით?..

- ხომ გითხარით, სიურპრიზია-მეთქი. - არ ცხრებოდა ნინა.

- მანამდე არ უნდა გეთქვათ?.. - თითქოს იწყინა გუგამ.

- ვაჟბატონო! - დაიწყო ნინამ, - მესტიიაში ყვითელ მარშრუტკაში რომ ჩავგვსვი და ორივემ რომ გაგვაშაყირეთ - „თქვენც ასე მოგინევთო!“ - გახსოვს?

- მერე? - გაელიმა გუგას.

- ჰოდა, იმ მარშრუტკაში გავიცანით ჩვენსავით მესტიიდან კარანტინში გამოძევებული თოკო და ლუკა. იზოლაციის შემდეგ შევხვდით და დღეს ჯვრისწერა გვაქვს. ასე რომ, წამობრძანდით, გენაცვალე, სიონში და დაგვლოცეთ!

- სხვათა შორის, სიონში დიდი ფართია, უშგულის ეკლესიასთან შედარებით და ყველა დავეტივით. - დასძინა თეკლამ და ლუკას ხელკავი გამოსდო.

ჯვრისწერამ სასიამოვნო ვითარებაში ჩაიარა. როდესაც მღვდელმა ახალგაზრდა წყვილები ამბიონზე აიყვანა, თითქოს გაბრწყინდა იქაურობა. საქართველოში ახალ ოჯახებს ეყრებოდა საფუძველი, სიცოცხლე განაგრძობდა აღმასვლას და ბედნიერებას ჰპირდებოდა ღვთისმშობლის წილხვედრ მინაზე მცხოვრებ ქართულ ჯიმ-ჯილაგს.

მაიზერმა ტელეფონით მიულოცა ახალგაზრდებს გაბედნიერება და სვანეთში დაპატიჟა.

საქორწილო სუფრა ქალაქგარეთ, მტკვრის პირას მდებარე ერთ-ერთ რესტორანში გაიშალა. თამადამ სამივე წყვილი ერთად ადღეგრძელა და ბედნიერი მომავალი უსურვა. ვინაიდან სუფრის წევრთა უმრავლესობამ იცოდა, რომ წყვილთა შეუღლების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ყვითელი ფერი იყო, რომლის აღქმაც დაიწყო რუსას თავსაფრიდან, თამადამ ამ ფერზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა:




- ყვითელი ფერი ახალგაზრდობის, სიხარულის, ენერჯის და სითბოს ფერია. ასოცირდება ბედნიერებასთან, ჟრიამულთან, ოპტიმიზმთან, გონებასთან, აზროვნებასთან, იდეალიზმთან, სიმდიდრესთან, ოქროსთან, ზაფხულთან, იმედთან, ჰაერთან; გამოსახავს სიმშვიდეს, ძალდაუტანლობას ადამიანებთან ურთიერთობაში, ინტილიგენტურობას. ამ ფერის სიყვარული აღნიშნავს საზოგადოებრიობას, გულადობას, ცნობისმოყვარეობას, ადვილად შეგუებადობას და სიამოვნების მიღებას, რაც გამონვეულია სხვების მხრიდან მოწონებითა და მისდამი ადამიანების მიზიდვით. მზე და მთვარე, რომელიც უფალმა სამყაროს შექმნის მეოთხე დღეს მოუვლინა მომავალ კაცობრიობას, ყვითელი ფერისაა. ღმერთს მათთვის სხვა ფერი არ მიუცია, რადგან ის არის მუდმივი და ამასთან მაცოცხლებელი წყარო ადამიანთა მოდგმისა ...

თამადა მცირე ხნით შეჩერდა, ასწია ყვითელი რგოლებით მოვარაყებული, ღვინით სავსე შუშის განსაკუთრებული სასმისი და განაგრძო:

- ამ სასმისში ასევე ყვითელი ფერის ანუ როგორც ამას ჩვენი წინაპრები იტყოდნენ - ბატის ჭუკის ფერი ღვინოა ჩასხმული - კარდენახური. მე მინდა ყველაფერი საუკეთესო გისურვოთ, გამრავლება, გახარება, დღეგრძელობა, მზეგრძელობა. მზესავით მარადიული ყოფილიყოს თქვენი და თქვენი ჯიმ-ჯილაგის მოდგმა ამ ქვეყნად.

სექტემბრის გრილ საღამოს, მრავალჟამიერის ტკბილი ჰანგები ეფერებოდა მრავლისმნახველ და მრავლისგამგონე მტკვარს და მის ლამაზ ხეობას.





## გვანცა

ადამიანი დაბადებისთანავე ცდილობს ამქვეყნიური სიტუბოებანი არ დაიკლოს. მისთვის ღვთისაგან დაწესებული მცნებების შესრულება არ არის იოლი. იგი ხომ დედამინაზე იზრდება და ხორციელი ვნებებისაგან თავის შეკავება უჭირს. უფლის კარნახით შექმნილი საღვთო წერილი უფლისავე მიერ შექმნილ ადამიანს სწორი გზით სიარულს ასწავლის, ხოლო ასევე უფლის მიერ ამპარტავნობისათვის დედამინაზე გადმოგებული სატანა ადამიანის შეცდენას ლამობს და ხშირ შემთხვევაში იმარჯვებს კიდევც.

ძალიან დავცილდით ღმერთს... უფალო, შეგვიწყალენ... შეგვინდვენ შეცოდებანი ჩვენი... ვიმეორებთ ყოველდღიურად, მაგრამ შედეგი რა გვაქვს? უგულოდ ნათქვამი ლოცვიდან გამოდის რაიმე სიკეთე? გარეგნულად ვლოცულობთ, გულით კი სხვაგან ვართ, ვისწრაფვით მინიერი ვნებებისაკენ.

მე, ქალაქში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ. ძველ უბანში ვცხოვრობდი. ქუჩა და „კაი ბიჭის“ ინსტიტუტი საფუძვლიანად გავიარე. ძალიან ყოჩი და მოჩხუბარი არა ვყოფილვარ, უფრო საკუთარი თავის პატივისცემაზე ვფიქრობდი. რომ წამოვიზარდე, სუსტი სქესისადმი ლტოლვამ გამიტაცა. შემეხედებოდა და ფულიც არ მაკლდა. ასე რომ, ვინც მომწონებია ხელიდან არ გამიშვია. სამსახური ისეთი მქონდა, წელიწადში მსოფლიოს ორ ან სამ წრეს ვუვლიდი, „დღევანდელ კვერცხს“ ვამჯობინებდი ყველაფერს და დროის უმეტეს ნაწილს ორგინის მორევში ვატარებდი. იყო გართობა, სასმელი, სიგარეტი და ყველა რჯულის ქალები თუ ქალწულები. ის პერიოდიც მქონდა ახალგაზრდობაში, რომ ქალის გულისთვის თბილისიდან ვლადივოსტოკში წავსულვარ. ჩემი ცხოვრების მიზანი იყო, დრო გამეტარებინა მაქსიმალურად და უფრო და უფრო მეტი ამქვეყნიური სიამოვნება მიმეღო.

ასე გავიდა ჩემი ამ ქვეყანაზე გაჩენის დღიდან ორმოცი წელიწადი. ამდენი ქალების გადამკიდე ცოლს როგორ მოვიყვან-

დი. მე ხომ ქალს ერთი მხრიდან ვხედავდი და ნამდვილად ვერ ავიტანდი ჩემი ცოლისთვის ვინმეს ისე შეეხედა, როგორც მე ვუყურებდი სხვას.

ერთხელ, როდესაც მორიგი დროსტარების შემდეგ დილით თვალი გავახილე, ჩემდაუნებურად სანოლზე წამოვჯექი და ჰოი, საოცრება... ჩემს წინ ჩემი ორეული დავინახე. მაშინვე თვალე-ბი დავხუჭე, ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი. სანოლის წინ ვიცი, რომ სარკე არ იდგა, თან მარტო ვცხოვრობდი და ავეჯის გადაადგილება ჩემი ჰობი არ იყო. ფრთხილად გავახილე თვალები და კვლავ ჩემი თავი დავინახე. ორეულმა თვალი თვალში გამიყარა და დაბალ ხმაზე მითხრა:

- დაამთავრე ეს სოდომი და გომორი, თუ არ გინდა, რომ ჯოჯოხეთის ალში დაიწვა.

ცივმა ოფლმა დამასხა. განცვიფრებულს მინდოდა ხმა ამომეღო, მაგრამ ვერ შევძელი. ისღა მოვახერხე, რომ საბანში ჩავძვერი და ემბრიონის მდგომარეობა მივიღე. თავი უსუსურად ვიგრძენი. ჩემი ორეულის შემემინდა. ეს სოდომი და გომორი რა-ლაა?.. არც ეს ვიცოდი... არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავი ასე გაუნძრევლად. როდესაც თავი გამოვყავი საბნიდან, მზე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო. მაშინვე მამაჩემის მიერ დატოვებულ ბიბლიოთეკაში შევედი და ენციკლოპედიაში სოდომი და გომორი მოვიძებნე... ცივად დავხურე წიგნი და მივხვდი, რომ რასაც მე ვერ ვხვდებოდი, ის გარეშე ძალამ შემაგნებინა, ანუ უკვე დრო იყო, რომ შემენწყვიტა აღვირახსნილი ცხოვრება, რასაც თანამედროვე ენაზე ხან ორგიას და ხან ვაკხანალიას უწოდებენ.

- აბა, რა ვაკეთო? ...

ორმოცი წლის გავხდი. ცოლი მე არ მყავს. ამდენ ქალებთან დავდიოდი, რომელიმესთან ერთი შვილი მაინც ხომ შეიძლებოდა მყოლოდა... ესეც ვერ მოვიფიქრე, უფრო სწორად არ მოვიფიქრე, რადგან ზედმეტი პრობლემები არ მინდოდა შემექმნა ჩემი თავისთვის. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ქვეყანაზე მხოლოდ ხორციელი სიამოვნებისათვის მომავლინა ღმერთმა. სულიერი გრძნობები ჩემთვის გაუგებარი იყო...



...ვგრძნობდი, რომ სინდისმა შემანუხა, არადა მეგონა, რომ იგი არ მქონდა, რადგან თითქმის ყველა ქალი ლოგინში ჩემთან ურთიერთობას ამ სიტყვებით იწყებდა: - „შე უსინდისო“. რამდენიმე დღე აღელვებული ვიყავი, ვწრიალებდი, ადგილს ვერ ვპოულობდი, ვნატრობდი ჩემი ორეული გამოჩენილიყო და კიდევ რაიმე ეთქვა. იქნებ დავმშვიდებულიყავი. ეს დღეც დადგა. შუალამე გადასული იყო, რომ მაგიდასთან დამიჯდა. მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ვერაფერად ვემზადებოდი, მაინც შემეშინდა.

- ნუ გეშინია, - დამამშვიდა, - მე შენს გადასარჩინად ვარ მოვლინებული.

- რა ვქნა? - ძლივს ამოვილულულე.

- ცუდი გულის ბიჭი არ ხარ, სიბოროტე არ არის შენში და ამიტომ გადავწყვიტეთ შენი გამოსწორება ამ წუთისოფელში, ცოდვა ხარ ჯოჯოხეთისთვის.

- რა ვქნა? - ვიმეორებდი რობოტისებრად ერთი და იგივე სიტყვებს.

- სასჯელი უნდა დაგადოთ.

- რა სასჯელი?

- ავხორცობისთვის პლატონური სიყვარულით უნდა დაიტანჯო სიცოცხლის ბოლომდე.

- ვერ შევძლებ, გამიჭირდება. - დავიწყე ვაჭრობა.

- მაშინ აირჩიე ან ჯოჯოხეთი ან პლატონური სიყვარული.

- კარგი, თანახმა ვარ, - უცებ ვუპასუხე, არ გადაიფიქროს-მეთქი, - სულ ეგ არის?

- არა, ეკლესიური უნდა გახდეს და ცოდვები მოინანიო.

- რას ამბობ, კაცო!? - აქ უკვე კინალამ ვიკივლე, - რაც მე... - და ხმა ჩამინყდა. ჩემი ორეული გაქრა.

გაოგნებულმა მთელი ღამის განმავლობაში თვალი ვერ დავხუჭე. დილით ქალაქში გავედი, ვიფიქრე, მდგომარეობიდან გამოვალ-მეთქი, ვიხეტივალე ქუჩებში, ბოლოს ისევ სახლში დავბრუნდი, დავნექი დივანზე და მეორე დღემდე ღრმად ძილით მეძინა.

ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ჩემი ბავშვობის მეგობარი ნუგზარი იყო. სახლში წვეულება მაქვს და საღამოთი აუცილებ-

ლად ამოდით. წვეულების ხასიათზე საერთოდ არ ვიყავი, მაგრამ მეგობარს უარს ვერ ვეტყვოდი.

ბევრი უცხო ადამიანი მოვიდა ვახშამზე. ერთი ჩვენი ბავშვობის ძმაკაციც გამოჩნდა. დიდი ხანი უცხოეთში მუშაობდა. ახლახანს ჩამოსულიყო. დაქორწინებაც მოესწრო და თავის მეუღლეს ყველას გვაცნობდა. მე, როგორც ყველამ, ჩვეულებრივად გაფუნოდე ხელი ახალგაზრდა ლედის, რომელიც ასე ოცდაათი წლის იქნებოდა, თვალეში შევხედე და გაღიმება დავაპირე, მაგრამ მისმა ლამაზმა თვალემა და გამომწვევმა ღიმილმა იმდენად მომჭრა თვალი, რომ ქალებთან ურთიერთობაში გამობრძმედილმა, კინალამ გონი დაგვარგე, დავიბენი და საკუთარი სახელი ძლივს წარმოვთქვი. თითქოს გული ჩამენია დაბლა, რაღაც არაამქვეყნიურმა ჟრუანტელმა დამიარა სხეულში. მე ქალი ასე არ მომწონებია. სუფრასთან რომ ვიჯექი, მალულად თვალს გავაპარებდი ხოლმე მისკენ. ერთი შეხედვით თოთქოს გასაგიჟებელი არაფერი იყო, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული ხიბლი და მიზიდულობის ძალა ჰქონდა. ცისფერი თვალები, თეთრი ქათქათა კანი და კულულებად მხრებზე ჩამოშვებული ნაბლისფერი თმა ჩემს გარშემო მომაჯადოვებელ ატმოსფეროს ქმნიდა, მითრევდა მისკენ. მოუსვენრობა დამეტყო, სასმელმაც თავისი გაიტანა. ქალმა შეამჩნია ჩემი ვნებიანი მზერა და როგორც ასეთ შემთხვევაში სჩვევიათ მანდილოსნებს, უფრო თავმომწონე გახდა და ვარდივით დაიწყო გაფურჩქვნა. ჩემთვის გულში გავივლე: „ეს მინდოდა ახლა მე. ბავშვობის ძმაკაცის ცოლია. რეგვენი ვარ, ხომ უნდა გავარჩიო ახლობელი და შორეული!“.

ავი ფიქრებისათვის თავი რომ დამეღწია, ბოდიში მოვუხადე თამადას და სიგარეტის მოსანწევად აივანზე გავედი. ის იყო სიგარეტს მოვუკიდე, რომ ზურგს უკან ფეხის ხმა შემომესმა და ინსტიქტურად მოვიხედე უკან. ნეტავ არ გამეხედა. ოჯახის დიასახლისთან ერთად ისიც გამოვიდა აივანზე და წარმომიდგა მთელი თავისი სიმშვენიერით. საშუალოზე დაბალი სიმაღლის იყო, მაგრამ იმდენად პროპორციული ტანი ჰქონდა და ისე ეცვა, რომ



ერთი შეხედვით მასზე ვერ იტყოდით, დაბალიაო. ნორმალურად ჩაჭრილი დეკოლტე ძუძუ-მკერდის ელვარებას აფრქვევდა. ხელებს მუდმივად მკერდის წინ ამოძრავებდა. თავდაპირველად ვერ მივხვდი ამ მოძრაობას, მაგრამ ჩემმა პროფესიონალიზმმა უმალ მიკარნახა, რას უნდა დავკვირვებოდი. ასეთი ლამაზი და კარგად მოვლილი თითები მე ჯერ არსად მენახა. ქალი იყო ის, მართლა ქალი, სილამაზის ეტალონი. სახელად გვანცა ერქვა. ეს სახელი არასოდეს იწვევდა ჩემში განსაკუთრებულ ასოციაციებს, ახლა კი მასზე ლამაზი სახელი არ არსებობდა ჩემთვის დედამიწის ზურგზე. გვანცა სვანური სახელია და ცელქს ნიშნავს. ახლა წარმოვიდგინე მისი სიცელქე და თითქოს დამბლა დამეცაო. ასეთი რამ არასდროს მომსვლია მსოფლიოს არცერთ კონტინენტზე. მივხვდი, რომ ეს უკვე სულიერი და ხორციელი სიყვარულის რალაც ნაზავი იყო, რომელთან მიახლოების უფლება მე არ მქონდა. ყველაფერი ერთად რომ წარმოვიდგინე, ჩემდა უნებურად გამიელვა თავში: „ეს რა ჯოჯოხეთია. ასეთ ტანჯვას მე ვერ ავიტან!“

ამ შეხვედრის შემდეგ მე მოვუხშირე გვანცას ოჯახში სიარულს. ან ვინ დამიშლიდა, მე ხომ ჩემი ბავშვობის ძმაკაცის ოჯახში მივდიოდი.

ჩვენს შორის შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. გვანცა ძალიან კარგი ხასიათის ქალი აღმოჩნდა. მეჩვენებოდა თუ ეს მართლა ასე იყო, არ ვიცი, მაგრამ თითქოს მასაც რალაც სიმპატიები გააჩნდა ჩემს მიმართ. მის გარშემო რალაც განსაკუთრებული სითბო იფრქვეოდა. სურვილი მქონდა, მაგრად ჩავხუტებოდი. ეს გრძნობა განშორებისას უფრო და უფრო მიძლიერდებოდა და ზოგჯერ სიგიჟემდე მიყვავდი. არ მაძინებდა, ხანდახან კანკალი დამენწყებოდა ხოლმე. სხვა ქალი საერთოდ აღარ მაინტერესებდა. მარტო გვანცაზე მინდოდა ფიქრი. მის სითბოს ყველგან ვგრძნობდი, მაგრამ კაცური ზღვარის გადაბიჯების უფლება მე არ მქონდა. დავაპირე შევიჯავრებ-მეთქი. დავინწყე მის გარეგნობაში და ხასიათში ნაკლის ძებნა, მაგრამ ამ ძებნაში

უფრო გამიძლიერდა მისდამი ლტოლვა. გამახსენდა ჩემი ორეულის სიტყვები: „პლატონური სიყვარულით უნდა დაიტანჯო სიცოცხლის ბოლომდეო“.

დიდ საგონებელში ჩავვარდი. ვატყობდი, რომ მოზღვავებულ გრძნობებს დიდხანს ვერ გავუძლებდი, რალაც წამომცდებოდა და მთელ სამკაცოში, უბანში და საერთოდ ქალაქში თავი მომეჭრებოდა. ასე ვფიქრობდი მე, თბილისელი ბიჭი, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან უმრავლესობას ჩემი შეხედულებანი მოძველებული მოეჩვენება და არ არის გამორიცხული, დაცინვის ობიექტიც გავხდე.

...რა ვქნა, ასე აღმზარდეს ...

საჭირო იყო რაიმეს მოფიქრება. ისევ ჩემი ორეულის სიტყვები მახსენდება: „ეკლესიური უნდა გახდეს და ცოდვები უნდა მოინანიო“. გადავწყვიტე მივსულიყავი ეკლესიაში და სხვა უამრავ ცოდვასთან ერთად მოძღვრისათვის აღსარებაში გვანცასთან დამოკიდებულების შესახებაც მეტყვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს გამათავისუფლებდა მოძალებული გრძნობებისაგან.

ჩვენს უბანში მოქმედებდა წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია. მოძღვარს ვესაუბრე, აღსარების თქმა მინდა და როგორ მოვიქცე-მეთქი. მამა პეტრემ დამარიგა: „რამდენჯერმე დაესწარი წირვა-ლოცვას, მოემზადე და ჩავიბარებ აღსარებასო“.

ორი კვირის განმავლობაში არცერთი ლოცვა და წირვა არ გამიცდენია. ერთ კვირა დღეს, როდესაც წირვაზე ვიდექი, ამბიონიდან მარჯვენა მხარეს, „ღირს არსის“ გალობის დროს, კანკელზე დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატისკენ შევბრუნდი, თვალი მრევლისკენ გამექცა და სახტად დავრჩი. კედელთან მდგარი შანდლის უკან სანთლებით გაბრწყინებული გვანცას სახე დავინახე. მაშინვე თვალები დავხუჭე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი. არ შევმცდარვარ, ნამდვილად ის იყო. გვანცამ შემამჩნია და გამიღიმა. კინალამ დავიშალე. იმ დღიდან ტაძარში გვანცას გარდა ვერაფერს ვხედავდი და ვერაფერს ვგრძნობდი, ველარც ლოცვას ვუგდებდი ყურს. ის გახდა ჩემთვის ყველაფერი. იდგა ჩემგან მარცხნივ და მეჩვენებოდა, რომ ჩემი სხეული და გონება მისკენ



იყო მიდრეკილი და ემორჩილებოდა მხოლოდ მას. გადავწყვიტე, აღსარების თქმა დამეჩქარებინა, იქნებ მეშველოს-მეთქი რამე, მაგრამ გვანცასგან გავიგე, რომ მოძღვარი მისი ბიძა ყოფილა და ყველაფერი წყალში ჩამეყარა. ბიძას ძმისშვილის სიყვარულზე როგორ დავველაპარაკებოდი.

ეკლესიაში სიარული შევწყვიტე. მეგობრის ნათესავეები ცხოვრობდნენ ყაზბეგში და იქ წავედი. ვფიქრობდი, რომ შორს წასვლა გამომიყვანდა მდგომარეობიდან. მაგრამ უარესი მომივიდა. გვანცაზე ფიქრი უფრო მომეძალა. მისი სიტბო იქ უფრო მწვდებოდა. ორი ძალა იბრძოდა ჩემში, ერთი იმქვეყნიური, რომელიც მუდმივად ჩამძახოდა: „არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა...“, ხოლო მეორე ამქვეყნიური გოგლას სიტყვებს ამომათქმევინებდა ხოლმე: „დამნაცროს ელვამ შენი ტანისა...“

სიყვარული იმდენად გაძლიერდა, რომ ველარ ვიძინებდი. დავკომპლექსდი. ვერავის ვერაფერს ვეუბნებოდი და ეს უფრო მტანჯავდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, წავსულიყავი მონასტერში და ბერად აღკვეცილიყავი. ასეც მოვიქეცი. ქართლის ერთ-ერთ ეპარქიას მივაკითხე. მეუფემ ამიხსნა, რომ ბერად აღკვეცა ასე სწრაფად არ ხდებოდა. თან, რომ გაიგო, უცოლო ვიყავი, მითხრა: „ყველაფერი კარგად უნდა ანონ-დანონო“. ბოლოს მომცა ლოცვა-კურთხევა და მორჩილად დამტოვეს მონასტერში. ტიპიკონის მიხედვით ცხოვრებამ და გამუდმებულმა წირვა-ლოცვამ ნაწილობრივ შემიმსუბუქა მდგომარეობა. მოძღვარს აღსარებაც ჩავაბარე, ცოდვებისათვის დადებული სასჯელიც აღვასრულე და მოძღვრის ლოცვა-კურთხევით ბერობისათვის დავინყე მზადება.

ორმა წელმა უცებ გაირბინა. თითქმის დავინყეებას მიეცა ყველაფერი. დადგა დადებული აღთქმის შესრულების დრო. შესაბამისი წესების დაცვით აღმკვეცეს ბერად და ეპარქიის ერთ-ერთ მთაზე მდებარე წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში გამაგზავნეს. იქ სულ ორი ბერი ვენეოდით მსახურებას. თითქოს შევეგუე ჩემს ბედს. გარე სამყაროსთან კონტაქტის სურვილიც გამიქრა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ყველაფერი ყირაზე დააყენა.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ჩემს მოსანახულებლად ჩემი მეგობარი ნუგზარი მოვიდა. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. მონასტერში წამოსვლის შემდეგ არავის შევხვედრივარ. ნუგზარი პირველი მნახველი იყო. ბევრი რამ გავიხსენეთ. ბავშვობა, ყრმობა და ტკბილად მოსაგონარი ამბები.

- თითქოს ადრე უფრო მრავალფეროვანი იყო ჩვენი ცხოვრება, - ნაღვლიანად თქვა ნუგზარმა, - ახლა რაღაც ერთგვაროვანი გახდა, უხალისო.

- ესე იგი, საჩვენოში არაფერი მომხდარა ახალი? - ვიკითხე ისე, სხვათა შორის.

- ერთი რამ მოხდა და ისიც არასასიამოვნო ამბავი. - ამოიოხრა ნუგზარმა, - გვანცა ხომ გახსოვს?

- როგორ არა. - ჩემდაუნებურად წამომცდა ეს სიტყვები და ტანში გამაჟრჟოლა.

- გაცილდა ჩვენს მეგობარს.

- რათა, კაცო!? რა მოხდა!?

- მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო. არადა, შვილი სიგიჟემდე უნდოდა ქალს. მერე ქმარს უთხრა შენ გაესინჯეო, იქნება შენა ხარ უშვილოო. მართლაც ასე აღმოჩნდა. ეს ველარ აიტანა სანყალმა ქალმა და გასცილდა.

- მერე!?

- ახლა ზის თავის სახლში მარტო, სევდიანი და სასოწარკვეთილი და გამუდმებით ცაში იყურება. თითქოს ვიღაცას ელისო.

თავდაპირველად ეს ამბავი ვერ გავაცნობიერე, მოულოდნელი იყო ჩემთვის. ნუგზარი რომ გავაცვილე, ჩემს სენაკში შევედი. უცებ სისხლი მომანვა თავში, ხატების წინ დავემხე მუხლებზე, ჩემდაუნებურად წარმოვთქვი: „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი!“...

...დავვარდი იატაკზე და მწარედ ავტირდი...

ორი დღე არ გამოვსულვარ სენაკიდან, გამუდმებით ვლოცულობდი. ვლოცულობდი ყველასათვის, განსაკუთრებით კი გვანცას გადარჩენისათვის. მე მისთვის უკვე სხვა არაფრის გაკეთება შემეძლო...



## დურგლიანთ ჯერანა

მეორე მსოფლიო ომი დიდხანია რაც მძვინვარებდა. ფაშის-ტური გერმანიის ჯარები კალიებივით იყვნენ მოდებულნი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. უამრავი მსხვერპლის ფასად, მტერი კავკასიის მთებსაც მიადგა. ამიერკავკასიის დაპყრობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნებოდა ჰიტლერი-სათვის. ამიტომ კავკასიის ფრონტზე ორივე მხრიდან დიდძალი ტექნიკა და ცოცხალი ძალა იქნა მობილიზებული. ფაშისტები სწრაფად იპყრობდნენ სტრატეგიულ ობიექტებს. მიუხედავად წითელი არმიის მედგარი წინააღმდეგობისა, მტერი მაინც გამაგებით მიიწევდა წინ. სასწრაფოდ საჭირო იყო სიმაღლეების დაკავება, რათა მტრის წინსვლა შეჩერებულიყო. უმაღლესი მთავარსარდლობის განკარგულებით, კვლავ გამოცხადდა მოსახლეობის მობილიზაცია. ომისგან ისედაც წელში განწყვეტილ ხალხს, უნდა გამოეძებნა დამატებითი რესურსები ფრონტის გასამაგრებლად.

კახეთიდან, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებიდან, ბევრი რამ იგზავნებოდა ფრონტზე. გლეხკაცი სახლში მხოლოდ მცირეოდენ ლუკმა-პურს იტოვებდა, რომ შიმშილისგან თავი დაეხსნა, დანარჩენი კი ფრონტზე მიდიოდა. სოფელ ფშატისწყალში პარტიის რაიონული კომიტეტიდან ინსპექტორი ჩავიდა და მოსახლეობას განუცხადა:

— ეგრე დაგიბარათ რაიკომის მდივანმა, ყველანი თქვენს ვირებზე დაჯექით და რაიონში ჩამოდითო!

— რათა რა, ვირიი გარეშე არ მიგვიღებს? – იკითხა დურგლიანთ ჯერანამ.

— არა! – მოკლედ მოჭრა ინსპექტორმა. – ვირიანათაო! გაიგეთ!

— კარგი, ეგრე იყოი! – თქვა ჯერანამ, მოვკიდებ ჩემ გულსუნდასა ხელსა და ჩამოვალ!

— გულსუნდა ვინლაა, კაცო!? – ისევ იკითხა ინსპექტორმა, — ვირებოი! გაიგეთ შენა! ქალები კი არაო!



- მერე ვინა თქო, რო ქალი მამყავ?
- აბა, ეგ გულსუნდა ვინ არი!?
- ვინ არი და ჩემი ვირი! – მოკლედ მოჭრა ჯერანამ.
- ვაჰ! რა მაგარი სახელი დაგირქმევია, ვითომ რათაო? – იკითხა ინსპექტორმა.
- იმიტომ, რომა გულს უნდა. – ჩაიბურღლუნა ჯერანამ და ბოლო ორი სიტყვის წარმოთქმას თითქოს გული და სული ამოაყოლა.

\*\*\*

მეორე დღეს, ყველა სოფლის მოსახლეობა, ვირებთან ერთად, რაიონული ცენტრისკენ დაიძრნენ. სალაპარაკო ყველას ერთი ჰქონდა:

- ჩვენ ჰო! კარგი, რაღაცაი გვეტყვიან, მაგრამა ე ვირები რაღათ უნდათ ო!?
- ალბათ შენ თუ რამეი ვერ დაიმახსოვრებ, მერე ეგ შენი ვირი გაგახსენებს. – ჩაილაპარაკა თავისთვის ვანუამ და თავზე ქუდი გაისწორა.
- ჩემი შენ გითხარიო... იმ გიტლერაი ხო არ უნდა გაუგზავნონ, ამბობენ, ისიც ვირივით ჯიუტიაო.
- მერე მაგდენი ვირი რათ უნდათ!?
- ალბათ, ლამაზებ შაარჩევენ.
- დედალი უყვარს თუ მამალიო!?
- ორივენიცაო.

ატყდა სიცილ-ხარხარი ხალხში. აქა-იქ გაიძახოდნენ:

- მარტო მამლები გაუგზავნონ... მარტო მამლები!

რაიონის ცენტრში ხალხს კომისარიატის თანამშრომლები ხვდებოდნენ და რკინიგზის სადგურზე აგზავნიდნენ – „რაიონის პარტიული აქტივი და თბილისიდან ჩამოსული სტუმრები იქ გელოდებიანო.“

ამ ამბავმა ხალხი კიდევ უფრო დიდ გაუგებრობაში ჩააყენა.

ბოლოს, როგორც იქნა რაიონის ყველა სოფლის გლეხობა, თავისი ვირებით, შეიკრიბნენ სადგურის მიმდებარე ტერიტორი-

აზე და ახალი ამბების მოსმენას, ვირებთან ერთად, ყურდაცქვეტილები ელოდნენ.

რაიკომის მდივანი და რამდენიმე აქტივისტი ღია ვაგონის ძარაზე ავიდნენ და იქიდან მიმართეს ხალხს:

— ამხანაგებო! საზიზლარი ფაშისტური გერმანია ჩვენი სამშობლოს საზღვრებს მოადგა! ჩვენი გმირი მეზრძოლები მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევენ. ფაშისტები რომ საბოლოოდ გავანადგუროთ, საჭიროა ჯარის მომარაგება, როგორც იარაღით, ისე სანოვაგით. კავკასიის მთებში ტვირთის ტრანსპორტირება და ჯარისკაცების მომარაგება გაძნელებულია. ცხენებით მასალების გადატვირთვამ შედეგი არ გამოიღო. ცხენებმა ვერ იარეს ციცაბო კალთებზე. ამიტომ საჭირო გახდა სხვა საჭაპანო ტრანსპორტის გამოყენება. ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული და სურს, რომ მალე გავისტუმროთ ფაშისტები მოუსავლეთში, თქვენი ვირები უნდა დროებით ათხოვოთ სახელმწიფოს, რომელიც მათ, საქმის დამთავრების შემდეგ, უსათუოდ დაგიბრუნებთ.

ხალხი ერთიანად შეიშმუშნა, მერე ფეხები გააბოტეს, თავიანთ ვირებს გადახედეს და გაირინდნენ. ბოლოს, ისევ ფშატისწყლელი ვანუა გამოეყო ხალხს და ვაგონზე მდგარ რაიკომის მდივანს მიმართა:

— მაშინ თოკები და აგურებიც იქნება საჭირო. ეგეც ჩვენ მოვიტანოთ თუ ექნება მთავრობასა!?

— რას არ მოიგონებ ხოლმე, კაცო! — იყვირა რაიკომის მდივანმა, — ეხლა ხუმრობის დროა!?

— მე არა ვხუმრობ, — იუკადრისა ვანუამ, — ან რა მეხუმრება, ოჯახის მარჩენალ სახედარს ფრონტზე ვაგზავნი.

— მერე აგური და თოკი რა შუაშია!?

— იმ შუაშია, უფროსო რომა, ვირმა უადგილო ადგილას ყროყინი იცის და თუ კუდზე სიმძიმე არ დაკიდე, აიკლებს იმ მთებს და ფრიცი ადვილად გიპოვით.

— სწორია ვანუა! სწორია!.. - ახმაურდა ხალხი.



— სინყნარე იყოს!.. სინყნარე! – იყვირა რაიკომის მდივანმა, — ჩვენ ვირების ეს თვისება გავითვალისწინეთ და მაგ დანიშნულებით სახელმწიფომ ტაოტი შეისყიდა.

ხალხმა ერთმანეთს გადახედა. მათ თვალებში ამოიკითხავდით: „ეგ რაღააო?“

რაიკომის მდივანმა ისარგებლა დროებითი პაუზით და შილიანელ კოლას გახედა, რომელიც გაკვირვებული იყურებოდა:

— რა იყო, კოლა!? რა თვალები გაგიშტერდა!?

კოლა გამოერკვა „გაშტერებიდან“, მიდგა-მოდგა და თქვა:

— რავი, აბა, უფროსო, ჩემ ლამაზოი ტაოტი არც გაუსინჯია და არც ნაუსვია... აბა, რა ვიცი, ალბათ აიტანს, რამდენი რამე აუტანია და...

— კარგით, - გააგრძელა საუბარი რაიკომის მდივანმა, - ახლა საქმეზე გადავიდეთ. ყველა ვირი დაიბირკება ისე, რომ დაბრუნების დროს თქვენ ამოცნობა არ გაგიჭირდებათ. აბა, დავინყოთ!

\*\*\*

ძღვევამოსილმა წითელმა არმიამ კავკასიისთვის ბრძოლა მოიგო და გერმანელები უკუაგდო.

ომში წაყვანილი ვირების უკან დაბრუნების დროც დადგა.

სადგურზე, ვირების პატრონებთან ერთად, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ვირების პატრონებს მათგან ადვილად გაარჩევდით, გაებოტებინათ ფეხები და თავები ჰქონდათ ჩაქინდრული. ყველას ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში – დაუბრუნდებოდა თუ არა საოჯახო ტრანსპორტი.

— ჯერანავ! ბჯო! ეხლა შენი გულსუნდა ოქროი ვარსკვლავით რომ დაგიბრუნდები, კისრულობ მალარიჩსა!? – ღიმილით უთხრა კოლამ თავჩაქინდრულ ჯერანას.

— შენ, შენ ლამაზოი მიხედე! – შეუბღვირა ჯერანამ კოლას, — ჯარში ხო არ დაგიტოვეი!

— ის იგეთი ლამაზია, — ჩაიბურღლუნა კოლამ, — კიდევ კარგი გერმანელებმა არ გაიმარჯვეთ, თორემა ნამდვილად დაიტოვებდნენ.

უცებ, ორთქმავლის საყვირის ხმაც გაისმა და ყველამ მომავალი მატარებლისკენ მიმართა მზერა. ეშელონი ორთქმავალმა ხვნემა-ხვნეშით მოაგორა სადგურის ბაქანამდე. მერე ერთი კიდევ ამოიკივლა და დაამუხრუჭა.

რაიკომის წარმომადგენელი წარსდგა ხალხის წინაშე და განაცხადა:

— ამხანაგებო! ბაქანზე არავინ ამოვიდეს! ჩვენ გამოვიძახებთ და გადავცემთ თავის ვირს!

— როგორ უნდა გავიგოთ, ჩვენია თუ არა!? – აყვირდა ხალხი.

— ყველას თავისი სახელი და გვარი აწერია და გაუგებრობა თავიდან იქნება აცილებული!

ვირის პატრონებში ატყდა ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა: „რა სახელი და გვარიო!?“ „ვინ მონათლაო!“ „სხვისი ვირი რომ მამცენო!“ და ასე შემდეგ...

პირველი ვაგონის კარი გაიღო და პირველი ვირიც გამოიყვანეს, რომელსაც კისერზე თოკით ფანერის აბრა ჰქონდა დაკიდებული. რაიკომის ინსპექტორმა შეხედა აბრას და ხმამაღლა დაიყვირა:

— ჩაკმაზაშვილი თედო!

ასე, თითო-თითო ვირი გამოჰყავდათ ბაქანზე და აბარებდნენ პატრონს.

ჯერანას გულის ფანცქალი დაენყო. მიშტერებოდა სადგურის ბაქანს და თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა: „ვაი თუ ჩემი გულსუნდა არ ჩამოვიდეი, იქნება ომში მოკლეს ან კლდიდან გადავარდა. რალა მეშველება მე უბედურს ...“

უცებ, ხმა ჩაესმა:

— დურგლიშვილი ჯერანა!

ჯერანას ეგონა, ალბათ მომესმაო. ჩაქინდრული თავი ნელა-ნელა ასწია ზევით, ფრთხილად მიმოიხედა ირგვლივ და როდე-



საც დაინახა, რომ ყველა მას მიშტერებოდა, მერე გაიხედა სად-გურის ბაქნისკენ და უცებ მუხლი მოეკვეთა. შემდგომ ხშირად იხსენებდა ხოლმე ამ, მისთვის სამახსოვრო და ამაღლევებელ ნუთებს: „როცა გავიხედე პარაოზისკენა, ჩემი ყელმოღერებულ გულსუნდა დავინახე, თვალებით მეძებდა, ო!.. თითქოი სხვა ფერი მიელო, მოხდომია მთის ჰაერი, გალამაზებულყო. მეგონა, ხო არ შეეშალათ-მეთქი. მაგრამა, როცა მის ლამაზ და მოხდენილ კისერზედა ჩამოკიდებულ ფანერკაზე წავიკითხე – ჯერანა დურგლიშვილიო, აქ უკვე წინაღამა გავითიშე. იგრე ჩავებუტე, ძლივს გამამგლიჯეს ხელიდანა. როგორი მონატრება სცოდნია ომში წასულის დაბრუნებასა, კაცოო!...“

ბოლოს ბაქანზე ორი ვირი გამოიყვანეს, რომლებსაც აბრა არ ჰქონდათ დაკიდებული. უვიროდ დარჩენილები კი ბევრნი იყვნენ. ატყდა ისევ ჩოჩქოლი. ამ ორ ვირსაც გამოუჩნდნენ პატრონები. ვირები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ პატრონებიც ვერ არჩევდნენ რომლისა რომელი იყო.

— აბა, რა გიყოთ, - თქვა რაიკომის ინსპექტორმა, - ეგ კიდეც თქვენ გაარჩიეთ, რომელი რომლისაა. თუმცა როგორ გაარჩევთ, თვითონ ხომ არ იტყვიან!?

— ეგრე არ არი, უფროსო! – წამოიძახა მიტუამ, - ამათა ვენახებში გავუშვებთ და თავთავიანთ ვენახების წინ გაჩერდებიან და იქიდან ფეხ არ მაიცვლიან, სანამ „აცე ვიროს!“ არ დაუძახებ! გერმანელებივით სხვის ტერიტორიაზე არ შევლენ, იციან, რომა ცემა არ აიცდებათ! ეგეთი ჭკვიანები არიან, მამა!

— ჩვენ რაღა ვქნათ, უფროსო!? – აჩოჩქოლდნენ უვიროდ დარჩენილები, - ვისაც არ დაგვიბრუნდნენ ვირები!?

რაიკომის ინსპექტორი უხერხულად შეიშმუშნა. ჯერ მხრები აიჩეჩა, მერე გასწორდა, აღლევებულ ხალხს თვალი მოავლო, ჩახველა და ომახიანად დაიწყო:

— რა ვქნათ!? სახელმწიფოს იმის საშუალება არა აქვს, რომ ვირები გიყიდოთ.

— მაშ, რა ვქნათ, უფროსო!? – არ ისვენებდნენ უვიროდ დარჩენილი კაცები.

ინსპექტორი ისე ლელავდა, რომ ბაქანზე ბოლთის ცემა დაინწყო, თითქოს სიტყვებს ეძებსო. ბოლოს გაჩერდა და თქვა:

— აქ რო იდგეთ ვირებ არავინ მოგიყვანთ და... წადით სახლებში და პურიჭამაზე ხშირად გაიხსენეთ, იქნება საიდანღაც გამოჩნდნენ.

რა უნდა ექნათ გლეხებს. წავიდნენ თავიანთ სოფლებში იმ იმედით, რომ შეიძლება მათი ვირები ოდესღაც დაბრუნებულიყვნენ.





## ერთხელ „ოქროს სანაპიროზე“

(ნამდვილი ამბავი)

აფხაზეთში, „ოქროს სანაპიროს“ სპორტულ ბანაკში დილის ექვს საათზე ზარი დაირეკა და მორიგე მწვრთნელის, თენგიზ ლეჟავას ხრინწიანი, მაგრამ მკაცრი ხმა გაისმა:

— „პადიომ!“ ყველანი სანაპიროზე! თუთხმეტ წუთში, დილის „რაზვოდზე“ ვინც არ გამოცხადდება, „ზავტრაკის“ გარეშე დარჩება!

სამწუხაროდ, საბჭოთა საქართველოში, მშობლიურ სასაუბრო ენაში რუსული სიტყვები ისე მყარად იყო „ჩაჭედილი“, რომ ვინმესთვის შენიშვნა რომ მიგეცა, რატომ ქართულად არ წარმოთქვამ ამა თუ იმ სიტყვასო, ქართველების უმრავლესობაც კი გაიკვირებდა — „გაუგებარი და არაქართული რა ვთქვიო?“. რადგან სპორტული ტერმინებიც ძირითადად რუსულ ენაზე წარმოითქმებოდა, ფიზკულტურულ წრეებშიც საუბარი ხშირად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და რა გასაკვირი იყო თენგიზის შეძახილიც, რომელშიც რუსული სიტყვების მთელი კასკადი იყო გამოტანილი. ყველაფერ ამას „ოქროს სანაპიროზე“ ისიც ემატებოდა, რომ აფხაზეთში ქართულად არავინ დაგელაპარაკებოდა. თუ არ იცოდი მათი ენა, მაშინ რუსულად უნდა გესაუბრა. სამწუხაროდ, იქ მაცხოვრებელი ქართველების უმრავლესობაც ასე იქცეოდა.

ასე რომ, ზარის დარეკვისა და თენგიზ ლეჟავას ყვირილის შემდეგ, სპორტსმენები, რომლებსაც დილის ძილი ყველაფერს ერჩივნათ, „ზავტრაკის“ დაკარგვის შიშით, სასწრაფოდ გარდნენ კარებიდან და სანაპიროსკენ გაიქცნენ.

საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების კარგების ბანაკი, ზღვის სანაპიროდან სულ ასი-ასორმოცდაათი მეტრის მანძილზე იყო გაშლილი. უკვე ორი კვირაა, რაც სპორტსმენთა მომზადება მიმდინარეობდა საკავშირო პირველობისთვის, ამიტომ ბანაკში რეჟიმიც მკაცრი იყო. სპორტსმენებს დღეში ორჯერ ან



სამჯერ ვარჯიში უნევდათ ოთხჯერადი კვებით, ისე, რომ ზღვის პირას მცხოვრებნი ზღვაზე გასვლას და ცურვას ერთი საათით თუ ახერხებდნენ, გარუჯვაზე საუბარი ხომ ზედმეტი იყო.

ახლაც, ამ დილით ჩვეულებრივი სავარჯიშო დღე იწყებოდა. თხუთმეტ წუთში ყველა სპორტსმენი ზღვის სანაპიროზე ერთ მწკრივში იდგნენ. მწყობრში ვაჟები უნდა გამოცხადებულიყვნენ სპორტული ტრუსების ამარა. იკრძალებოდა მათთვის მაისურის ან სხვა სპორტული შესამოსელის ჩაცმა, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. ეს ყოველივე დაკავშირებული იყო ზღვაზე ტურისტული სეზონის პიკთან. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან უამრავი დამსვენებელი იყო ჩამოსული. ხშირი იყო შემთხვევები, რომ ბიჭები ღამით იპარებოდნენ ბანაკიდან ტურისტ გოგონებთან პაემანზე შესახვედრად, რაც შეკრების ხელმძღვანელების მიერ სასტიკად იყო აკრძალული, რადგან სექტემბერში მნიშვნელოვანი ასპარეზობანი იყო დაგეგმილი და ნაკრები წარმატებით უნდა გამოსულიყო საკავშირო პირველობებზე. ვინაიდან ნაკრებში ძირითადად ჯიბეგაფხეკილი სტუდენტები ირიცხებოდნენ, გოგონებს პაემანსაც პლაჟზე უნიშნავდნენ და იქ ხდებოდა სასიყვარულო ურთიერთობები. კატერების მიერ მოძრაობის დროს დაღვრილი მაზუთი ზღვის ტალღების მიერ მოქცევის დროს პლაჟზე, ქვიშაზე ილექებოდა და „დროებით შეყვარებულ რაინდებს“ სხეულზე ლაქად ეკვროდათ ისე, რომ იმას საველე პირობებში და მით უმეტეს ღამით, ვერ მოიცლიდი. ესეც რომ არ ყოფილიყო, პლაჟის უხეში ქვიშა მაინც ტოვებდა თავის კვალს სხეულზე და შეკრების მწვრთნელები ამ საკითხში უკვე ჩამოყალიბებული ექსპერტები იყვნენ. ახლაც გაისმა სპორტული შეკრების ხელმძღვანელის, ტარიელის მკაცრი ხმა:

— ზურგისაკენ!

ბრძანების გაცემისთანავე ყველანი შებრუნდნენ. ტარიელმა დინჯად ჩაუარა ყველას, შემდეგ დაბრუნდა თავის ადგილას და იყვირა:

— კოვზირიძე!



— ვარ, პატივცემულო! — ხმამალა შესძახა ზაურმა.

— გამეეთრე ნინ!

ზაური გამოვიდა მწყობრიდან. აშკარად ეტყობოდა, რომ ღამენათევი იყო.

— სად ეგდე წუხელ!? — იყვირა ტარიელმა.

— კარავში, პატივცემულო! — მშვიდად უპასუხა ზაურმა, ისე, რომ თვალი არ მოუცილებია ტარიელისთვის.

— ეს მაზუთი კარავში აიკარი!?

— აგი მქონდა, პატივცემულო, ადრეც. — იცრუა ზაურმა.

— თბილისიდან გამოგყვა, არა!? — დამცინავი ღიმილით შენიშნა ტარიელმა, მერე კი სახემოდუშულმა განაგრძო, — ორი დღე „კუხნაში“ მიეხმარები ამირანს, მხოლოდ ვარჯიშზე გამოხვალ იქიდან.

საველე სამზარეულო იქვე, ბანაკის სიახლოვეს იყო განლაგებული. იქ მუშაობა მართლაც სასჯელი იყო სპორტსმენისთვის. მთელი დღე გაუჩრებლად უნდა ემუშავა შეფმზარეულთან ერთად და ამასთან ვარჯიში არ უნდა გაეცდინა. ერთი შეღავათი ჰქონდა მხოლოდ „სამზარეულომისჯილ“ სპორტსმენს, ისიც შეფმზარეულ ამირანის კეთილი ნების გამო, რომელიც მართლა სიკეთის განსახიერება იყო და დამხმარეებს ყოველთვის აძლევდა უფლებას, რომ რომელ საკვებსაც მოისურვებდნენ — დაეგემოვნებინათ. არაქათგამოცლილი სპორტსმენისთვის კი კარგი ჭამა-სმა რას ნიშნავს, ამას ახსნა-განმარტება არ სჭირდება.

ტარიელმა კი მოკლედ გააცნო სპორტსმენებს დღის განაწესი:

— ნახევარ საათში მოწესრიგდით! სპრინტერები და „სილავიკები“ სტადიონზე, სტაიერები სანაპიროზე ათ კილომეტრიანი მოთელვით! შუადღის ვარჯიში, სიცხის გამო, არ გვექნება! საღამოს იგივე, მხოლოდ სტაიერებს ორმოცკილომეტრიანი კროსი გვექნებათ მიუსერას ნაკრძალში! კოვზირიძე არ დაგავინყდეთ, კარგად არბენინეთ, ენერგია ექნება შესავსები!

ზაური და მალხაზი ერთ კარავში ცხოვრობდნენ. ორივე რესპუბლიკის ნაკრების უცვლელი წევრი იყო და ხშირი მოგზაურობების შედეგად ისე დაახლოვებულიყვნენ, რომ ერთმანეთის



ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ. მალხაზმა მეგობრის მდგომარეობიდან გამოყვანის გეგმა მოიფიქრა და დილის ვარჯიშის შემდეგ მიაკითხა სამზარეულოში. ზაური სკამზე იჯდა, კარტოფილს ფცქვნიდა და თან უძილობისგან ისე ქანაობდა, რომ ლამის სკამიდან გადავარდა. მალხაზმა დაინახა რა თავისი მეგობარი უმწეო მდგომარეობაში, პირდაპირ შეფშმზარეულისკენ გასწია. ამირანი მამით აფხაზი და დედით რაჭველი გახლდათ. თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ამიტომ დაფასებული იყო, როგორც მწვრთნელებისგან, ისე სპორტსმენებისგან.

— გამარჯობა, ამირან ბიძია! — მიესალმა მალხაზი ამირანს და ხელი ჩამოართვა, — თქვენი კაიკაცობის იმედი რომ არ მქონდეს, აქ არ მოვიდოდი ...

— კაი, კაცო, — გაეცინა ამირანს, — ვიცი, რაზეც შეწუხდი, მალხაზ-ჩემო. მე უკვე მოვიფიქრე, რაც უნდა გავაკეთო. ტარიელი გუდაუთაში მიდის საქმეზე. თენგიზას კი თავის „ლეჟანკაში“ სძინავს უკვე. ხომ იცი, ჭამას და ძილს არ იკლებს. როგორც ნავა ტარიელი, ზაურს აგერ საკუჭნაოში დავაძინებ. რამდენიმე საათს კი წაუძინებს, მარა სალამოს კროსზე რა ეშველება? რა ქალი ნახა ამ ოჯახქორმა ამისთანა, რომ ნაქცევაზეა.

— ვილაც პრიბალტიკელია, — უპასუხა მალხაზმა, — ძველი ნაცნობია და ჩამოაკითხა. დილაადრიან გააცილა. საერთოდ არ დაუძინია. თუ გამოიძინებს კარგია. ასე მოვიფიქრე, ნავიყვან კროსზე, დავტოვებ სადმე ტყეში და რომ მოვბრუნდებით მიუსერადან, ისევე ავიყოლიებ და ჩაეთვლება ვარჯიშში.

— კაი, ბოშუნა, — გაელიმა ამირანს, — შენ რას შვები? ნამეტანი გამხდარი მეჩვენები, არ ჭამ საჭმელს?

— როგორ არ ვჭამ, ამირან ბიძია, — უპასუხა მალხაზმა, — მარა ბევრს ვვარჯიშობ და არ მყოფნის. დღეში სამოცი-სამოცდაათი კილომეტრის გარბენა არ გესწავლებათ რა არის.

— ჰოდა, გამოიხედე აქეთ, მალხაზუკა. — ჩაილაპარაკა თავისთვის ამირანმა და მალხაზს ხელით ანიშნა ახლოს მისულიყო მასთან.

მალხაზი მიუახლოვდა ამირანს და ჰკითხა:

— რა ხდება, ამირან ბიძია, ცუდი ხომ არაა რამე?

— რავა გეკადრება, ბოშუნა, — გაელიმა შეფმზარეულს, — ჩემთან რა იქნება კარგის მეტი. ახლახანს შევაზავე მაკარონი „პაფლოტსკი“, შენ რომ გიყვარს და გაჭმევ თუ გინდა?

მალხაზს ხორციტ შეზავებული მაკარონი ძალიან უყვარდა და მომდგარი ნერწყვი ისე გაეჩხირა ყელში, რომ ხმა ველარ ამოიღო. ამირანმა კარგად დააპურა მუდამ ჭამას მონატრებული სტუდენტის სპორტსმენი, მერე ბეჭებზე ხელი დაარტყა და უთხრა:

— ღმერთმა შეგარგოს, ბიჭუნა! ამასაც მივხედავ, არ იდარდო. — კარტოფილით ხელში ჩაძინებულ მალხაზს ხელი მოჰკიდა, ნამოყენა და საკუჭნაოსკენ წაიყვანა.

მალხაზმა ამირანს მადლობა გადაუხადა და ბანაკის ახლოს მდგარი დიდი ცაცხვისკენ გასწია, სადაც სპორტსმენები სასადილოში შესვლამდე ჭადრაკს ან მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდნენ ხოლმე. ცაცხვის ქვეშ, ჩრდილში, ძილი უყვარდა თენგიზ ლეჟავას. სპეციალურად მონყობილი დასაკეცი საწოლი, ეგრეთ ნოდებული „ლეჟანკა“ ჰქონდა, რომელსაც შუა გული თენგიზის ღიპის ზომაზე ჰქონდა ამოჭრილი. ლეჟავას პირქვე უყვარდა ძილი, ამიტომ ღიპს საწოლის ამოჭრილ ნაწილში მოათავსებდა ხოლმე და მიეცემოდა განცხრომას. ხვრინვა ნამდვილად კლასიკური იცოდა, ყოველგვარი პაუზის გარეშე. ამის გამო განცალკევებულად ეძინა ხოლმე. იგივე მდგომარეობაში ისვენებდა პლაჟზეც, მხოლოდ იქ ღიპის მოსათავსებლად ქვიშის ამოთხრა უწევდა. თენგიზი თავის დროზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო აკრობატიკაში, ამასთან — საყრდენი, სამ კაცს დაატარებდა მხრებით. როგორც კი დაანება სპორტს თავი, საგრძნობლად მოიმატა წონაში და ამიტომ განსაკუთრებულ რეჟიმში უწევდა ცხოვრება.

სალამოს ხუთ საათზე სტაიერებმა სტარტი აიღეს და წავიდნენ სავარჯიშოდ მიუსერას ნაკრძალში. იმ სილამაზეს, რასაც ადამიანი ნაკრძალში შესვლისას ნახავდა, სახელი არ მოეძებნებოდა. ეს იყო ზღვის პირას აღმართულ მთაზე მაღალი ხეებით



დაფარული ადგილი, სადაც მზის სხივსაც კი უჭირდა შეღწევა. პლაჟზე დავანებული გაუსაძლისი სიცხიდან პირდაპირ სასიამოვნო სიგრილეში ხვდებოდა ადამიანი. ჰაერი ისეთი მსუყე და ხორციანი იყო, რომ ჩაკბეჩა მოგინდებოდა. ჰაერის ჩასუნთქვისას მის გემოს გრძნობდი. ასეთი განუმეორებელი გემო და არომატიც ალბათ იმ ღვთიურ მანანას ჰქონდა, რომელიც ღმერთმა უდაბნოში მიმავალ ებრაელებს აწვიმა ციდან. ნაკრძალში შესვლისთანავე სულ სხვა სამყაროში ხვდებოდი. თანამედროვე ცივილიზაციის მანიშნებელი მხოლოდ მოასფალტებული გზა იყო, სხვა დანარჩენს ადრეულ ეპოქაში გადაჰყავდა ადამიანი. რამდენიმე მოსახლეს ცხოვრობდა ნაკრძალის წიაღში. ისინიც კი არქაული ეპოქის ადამიანებად მოგეჩვენებოდათ. თითქოს მონყვეტილნი იყვნენ გარე სამყაროს, თავიანთ მიცვალებულებსაც კი საკუთარ ეზოებში მარხავდნენ. სპორტსმენებს კარგად სცნობდნენ და აღარც მათი ვარჯიში უკვირდათ. მალხაზი ერთ-ერთი ეზოს წინ გაჩერდა, მასპინძელს დაუძახა და ზაური მასთან დატოვა — „ფორმაში ვერაა, სჯობს დაისვენოს და გამოვლისას გავიყოლებთ“.

სპორტსმენებმა მიუსერას რომ მიაღწიეს, ცა მხოლოდ მაშინ გამოჩნდა. ღრუბლები ავბედიტად ტრიალებდნენ ცაზე. როგორც ჩანს ზღვის ღელვა გარდაუვალი იყო. მორბენლები არ გაჩერებულან, მობრუნდნენ და გააგრძელეს გზა ბანაკისკენ. ზაური გზაზე დახვდა ბიჭებს. მალხაზმა მაშინვე ჰკითხა:

— როგორ ხარ, აბა!?

— გადასარევად. — უპასუხა ზაურმა, — ანი თუ გინდა ზღვაზეც გავიღებენ.

ბიჭებს გაეცინათ და გზა განაგრძეს.

ნაკრძალიდან გამოსულებმა, როგორც კი გადახედეს ზღვას, საშინელი სურათი დაუხვდათ. შავი ზღვა მართლა გამავებულიყო და დიდ ტალღებს ახეთქებდა ნაპირს. ბანაკის წინ მდებარე პლაჟზე ხალხი შეკრებილიყო და აქეთ-იქით ქაოსურად მიმოდიოდნენ. ბიჭებმა სირბილის ტემპს მოუმატეს და მალევე გაჩნდნენ ადგილზე. ხალხი ზღვაში უმწეოდ დარჩენილ გოგონას გაჰ-

ყურებდა, რომელიც ამაოდ ცდილობდა ნაპირზე გამოსვლას. როგორც კი მიუახლოვდებოდა ნაპირს, ტალღა ისევ შეითრევდა ხოლმე აბობოქრებულ ზღვაში და ახეთქებდა აქეთ-იქით.

— რა ხდება, ხალხო! — იკითხა ზაურმა.

— რა ხდება და, — მიუგო თენგიზმა, რომელსაც მომხდარის გამო სახეზე ფერი დაჰკარგვოდა, — რუსი დამსვენებლები არიან, აგერ თავისი „მოსკვიჩით“ ჩამოსულები. გოგონამ თავის მშობლებს არ დაუჯერა და ზღვაში შევიდა. ცურვის დროს ღელვაც გაძლიერდა და ველარ გამოდის ნაპირზე. სამაშველო სამსახურში გავაგზავნეთ კაცი და ჯერ არ ჩანან. არადა, დაიღალა ბავშვი, სულ თოთხმეტი წლის ყოფილა. შეხედე! უკვე ფართხალებს და ვერავინ ვშველით! ...

თენგიზს ჯერ სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ზაური მოწყდა ადგილს და აღელვებულ ზღვაში შეიჭრა.

— გაგიჟდა ეს შობელძაღლი! — იყვირა იქვე მდგომმა ტარიელმა, — თავს იკლავს და ჩვენც გვლუპავს!

მალხაზს ტარიელის წარმოთქმული სიტყვები არ მოეწონა — „ადამიანი იღუპება და ის მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს!“ — გაიფიქრა მალხაზმა და მიუხედავად იმისა, რომ მომხდარი კარგად არ ჰქონდა ჯერ კიდევ გაცნობიერებული, ისიც მოწყდა ადგილს და ზღვისკენ გაიქცა. ტარიელი სულ გადაირია:

— აი, მეორე გიჟი!... რა გვეშველება!...

ზღვაში შესული მალხაზი პირველმა ტალღამ უკან გადმოაგდო. წამოდგა და ზურგი დაახვედრა შემდეგ ტალღას. წყლის გამოტყორცნილი კენჭები, საფანტივით დააცხრა მალხაზის ზურგს. თითქოს სხეულზე ცეცხლი წაუკიდესო. ამან ენერგია შემატა, შეძლო ტალღის შიგნით შეღწევა და მეყვსეულად ჩაიძირა აბობოქრებულ ზღვაში. როგორც კი შეძლო ამოსვლა წყლის ზედაპირზე, მეორე ტალღამ ზღვის სიღრმეში გადააგდო. როდესაც შემდეგმა ტალღამ ზევით აიტაცა, იქიდან უკვე ნათლად გამოჩნდა, ზაური როგორ ცდილობდა გოგონასთან მიახლოებას, თუმცა ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. მალხაზ-



მაც დაიწყო იქით გაცურვა. ზაური და მალხაზი ორივე კარგი მოცურავეები იყვნენ, მაგრამ ასეთ ღელვაში ეს არაფერს ნიშნავდა. აღელვებული ზღვა ადამიანს არასდროს დამორჩილებია, როგორც არ უნდა შებრძოლებოდა მას. ამ შემთხვევაშიც ასე იყო, ამიტომ შემდგომი მოქმედებისთვის სჯობდა, რომ მოცურავეები ტალღების მოძრაობას აჰყოლოდნენ და ისე ემოქმედათ. ასეც მოიქცნენ ბიჭები და როგორც იქნა ხელი ჩაჭიდეს უკვე თითქმის ძალაგამოცლილ ბავშვს. ახლა იწყებოდა ყველაზე მთავარი და რთული მოქმედება — ნაპირზე გაღწევა. როგორც ქვიშაზე დაადგამდნენ ფეხს, ვერ იმაგრებდნენ თავს, რადგან ქვიშა ეცლებოდათ და ნაპირიდან წამოსული ტალღა ისევ ზღვაში აგდებდა სამივეს. ბოლოს, ერთმა და დიდმა ტალღამ ისეთი ძალით დაარტყა, რომ სამივე ცალკ-ცალკე გაფანტა. დაიწყო კიდევ ერთი ახალი ბრძოლა გადარჩენისთვის. ახლა ეს საკითხი ზაურსაც და მალხაზსაც ეხებოდა, რადგან მათ უკვე დიდი ენერჯია ჰქონდათ დახარჯული. ზაური უფრო ენერჯიულად გამოიყურებოდა, ხოლო მალხაზს ორმოცკილომეტრიანი კროსის გარბენის შემდეგ, ძალა ნაკლებად ჰქონდა შემორჩენილი. მაგრამ ბიჭებმა გახსნეს ეგრეთ წოდებული „მეორე სუნთქვა“, მიუახლოვდნენ გოგონას, მაგრად ჩაჭიდეს ხელი მის ღონემიხდილ სხეულს და ნაპირისკენ გაცურეს. პლაჟზე შეგროვილი ხალხი ვერაფერს ახერხებდა, მამველებიც არ ჩანდნენ. როგორც იქნა, ტალღის უკან დახევის შემდეგ, წყლისგან გამოთავისუფლებულ ქვიშისკენ ხელი უბიძგეს გოგონას და მერე შეეცადნენ ისე დაეჭირათ მისი სხეული, რომ მომდევნო ტალღას იგი უკან არ შეეთრია. დიდი ძალისხმევის შედეგად ბიჭებმა მოახერხეს ეს. საბედნიეროდ, შემდეგი ტალღა წინანდელზე სუსტი გამოდგა, ამით ისარგებლეს სანაპიროზე დასახმარებლად მომზადებულმა სპორტსმენებმა და სამივენი გამოათრიეს სამშვიდობოს. ამ დროს, მამველებიც მოვიდნენ და ექიმებთან ერთად, გოგონა სათანადო პროცედურების ჩატარების შემდეგ, გამოაცოცხლეს. ზაური და მალხაზი კი ზურგით იწვნენ ქვიშაზე და გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ

ზეცას, რომლის სიღრმეშიც შავი ღრუბლები დაშლიგინობდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს სადაცაა ხმელეთი, წყალი და ზეცა აირეოდა ერთმანეთში. მალხაზი წამოინია და ზღვას გახედა. მის წინ დაახლოებით ხუთმეტრიანი წყლის კედელი მოემართებოდა, ტალღა უცებ დაენწყვიტა ნაპირზე და ღრიალით შევარდა უკან ზღვაში, თან შავი ხვრელი დატოვა, რომელიც ასევე მალე შთანთქა გაცოფებულმა ზღვამ. მერე გადახედა მის გვერდით გამოტილ ზაურს და გადაულაპარაკა:

— მართლა შავი ყოფილა. მგონი გადავრჩით, ძმაო...

უცებ, ყველას ყურადღება ქალის კვილიმა მიიქცია. როგორც გაირკვა, ის ზღვაში დახრჩობას გადარჩენილი გოგონას დედა იყო, რომელიც ნაცვლად შვილზე ზრუნვისა, მისი დატუქსევით იყო დაკავებული. ეჩხუბებოდა გოგონას, მერე თავზე სილა გაანა, ხელი მოჰკიდა, მანქანისკენ წაიყვანა და კიდევ ერთხელ ხმამაღლა დაწყევლა:

— ნეტავ დამხრჩვალყავი, რომ ჭკუა გესწავლა!

ამ დროს, გოგონას მამა და ორი მუტრუკი ძმა ყოველივე მომხდარს მანქანიდან ადევნებდნენ თვალს, არც კი განძრეულან. ძმებმა თავიანთი და ხელის კვრით ჩააგდეს მანქანაში და ისე წავიდნენ, არა თუ მადლობის გადახდა, არამედ დასამშვიდობებელი სიტყვაც კი არ დაცდენიათ.

მაშველები ზაურთან და მალხაზთან ტრიალებდნენ. ბიჭები უკვე კარგად გრძნობდნენ თავს, მაგრამ ფეხზე წამოდგომა უჭირდათ. პლაჟზე შეკრებილი ხალხი გაშეშებული გაჰყურებდა „მოსკვირით“ მიმავალ რუსებს და არავინ ხმას არ იღებდა. მხოლოდ ზღვიდან მომავალი ტალღების ხმაური არღვევდა ირგვლივ ჩამონოლილ სიჩუმეს.

ბოლოს, ყველას ყურადღება მიიქცია შუა გზაზე მდგარმა, თეთრხალათიანმა შეფმზარეულმა ამირანმა, რომელიც ასევე გაჰყურებდა გზაზე მიმავალ რუსების „მოსკვირს“, ხელი ჩაიქნია მამით აფხაზმა და დედით რაჭველმა და ხმამაღლა განუცხადა პლაჟზე შეკრებილ ხალხს:



— არ მიჯერებენ, რომ ვამბობ, ბოშუნა, რუსები უმადური და ჯიუტი ხალხია-თქო! ჰოოდა, ხომ დარწმუნდით, ქვე შენი ჭირიმე!

ბიჭებმა ზაური და მალხაზი ფეხზე წამოაყენეს და ბანაკისკენ გაუდგნენ გზას. წინ ზაური მიდიოდა. უკან მიმავალმა მალხაზმა თავი ასწია, მზერა მიაპყრო ზაურის ზურგს, ბიჭებს რაღაც ანიშნა და ყველამ ერთად დაიწყეს სიცილი. ზაურმა უკან მოიხედა და გაკვირვებულმა იკითხა:

— რა გაცინებთ? მოხდა რამე?

მალხაზმა, როგორც იქნა, სიცილისგან „მოითქვა სული“ და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ზურგზე მაზუთი გაქვს აკრული. ამ უბედურებაში სად იპოვე ნეტავ?...







## დუღუკაანთ მიხეილა

შემოდგომის მზე ნელ-ნელა ეშვებოდა ათასნაირი ფერებით მორთულ მთებს უკან. ხევის პირას მდებარე პატარა ბაზრობის მოვაჭრეები, მთელი დღის შრომით დაქანცულნი, შესდგომოდნენ თავიანთი საქონლის დაბინავების თადარიგს. მსუქანი გოდერძა, თავისი მოკლე ფეხებით, სავაჭრო რიგებს შორის, ხვნიშა-ხვნიშით დაბანცალობდა და ყველას გასაგონად გაიძახოდა:

— ეს საქმეა მამაძალი! დილაი აქეთია პახმელია ვაარ და კაცი ვერა ვნახე, რო გამოვსულიყავ, რალა ყველაი დღეი მოუნდა მუშაობა, ვითომ რაო, გეგმა აქვთ შესასრულებელი თუ რაშია საქმე?

— გოდო! – რიგის ბოლოდან დაიძახა ავთუამ, — ეგე მოვრჩი ყველაფერსა, ბიჭებსაც შევეხმიანოთ, სალამოი პური ვჭამოთ, შენც გეშველება და ჩვენცა!

— ეგრე რა! შე კაი კაცო, მოვკვდი მშიერი! – წამოიძახა გახარებულმა გოდერძამ და მთელი დღის შიმშილით განამებულ, მუხლებამდე ჩამოკიდებულ ღიპზე დაირტყა ხელები.

გოდერძას და ავთუას სამი თანამეინახე კიდევ დაემატა და ყველამ ერთად ვახშმის თადარიგის დაჭერა დაიწყეს. იქვე მდგარ ფარდულის წინ, ხის ყუთებისაგან სახელდახელო მაგიდა გამართეს და ზედ ქალაღი გადააფარეს. სკამების მაგივრად ასევე ხის ყუთები მოიძიეს. გოდერძასთვის კი მეხორცის კუნძი გამოაგორეს, რადგან მის სიმძიმეს ჩვეულებრივი ხის ყუთი ვერ გაუძლებდა. ამასობაში გოდერძა უსაქმოდ არ გაჩერებულა. პლასტმასის ხუთლიტრიანით ღვინო და დედას პურები მოიტანა და სახელდახელოდ გაშლილ მაგიდაზე დააწყო. ზოგმა ყველი, მწნილი, ლორი, მწვანილი, კიტრი, პომიდორი და ზეთის ხილიც კი შემატეს სუფრას.

— ხაშლამაც ჩაყრილია და თევზიც იწვება, - თქვა ავთუამ და პლასტმასის ჭიქებში ღვინის ჩამოსხმა დაიწყო, — ეს ღვინო კიდენა, მარტო გოდოს არ ეყოფა.

— შენ რა გინდა, კაცო! – იწყინა გოდერძამ, — შენ, შენ ხაშლამასა და თევზს მიხედე! ორი ეგეთი კიდე მაცივარშია. აბა, აქ ხო არ გავათბობ?!

— ჰოდა, მამინ ვინც შენ გარდა ამ სუფრაზე თამადა იყოი, იმის დედაც! – თქვა ავთუამ და გადაჰკრა ღვინო.

— რო არ შამაგინო, ისე არ დავდგებოდი!? – იწყინა გოდერძამ.

— რავი, აბა, თავი დავიზღვიე, ვიფიქრე პახმელიაზეა და გაიპრანჭება-მეთქი.

გოდერძამ ღვინით სავსე პლასტმასის ჭიქა ასწია. კოტიტა თითებში უხერხულად დაიჭირა და ღვინო გადმოიღვარა.

— ფუ! შენი მამგონის დედაც! – აჯიჯღინდა გოდერძა, - მაიტა ეგ ბანკა, ეხლა ღვინი დაღვრა შეიძლება!?

მოქეიფებმა ღმერთის სადიდებელი და სამშობლოს სადღეგრძელო რომ მიირთვეს და, როგორც იტყვიან, „თვალეშიც გამოიხედეს“, როგორც წესი, ის ადამიანებიც უნდა გაეხსენებინათ, ვინც ამ ქვეყნად მოავლინეს.

— ხედავთ, ბიჭებო! – თქვა გოდერძამ და თანამეინახეებს გადახედა, - დღეი რა ხალხი შევიკრიბეთ ერთადა!?

— რა! პირველად გვხედამ, გოდო!? – თქვა ავთუამ და ჭიქების შევსება დაიწყო.

— ბიჭო, გახედე, ხო ვაართ ხუთნი? – გააგრძელა გოდომ და ღვინით სავსე შუშის ქილას მოკიდა კოტიტა თითები, - ჰოოდა, არც ერთ ჩვენგანსა მამა ცოცხალი აღარ გვყავს.

— ჰოო! ეგ მართალია, - დაადასტურა პიპინანთ კოლამ, - სალოლ, გოდო!

გოდერძა, თავისი აღმოჩენით გაამაყებული, ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— მოდი, ჩვენი მამების ხსოვნა იყოი, დედებმა, კიდენა, დიდხან იცოცხლონ!

— გაუმარჯოი! – შესძახეს ბიჭებმა და ჩამოცალეს ჭიქები.

— აუჰ! ესლა გვაკლდა. – ჩაიბურღლუნა ავთუამ და სიგარეტს გაუკიდა.



— რა იყო, ბჯო!? – იკითხა გოდომ.

— ეგე, გაიხედე, ვინ მოდის.

გოდერძამ ბაზრობის შემოსასვლელი კარისკენ გაიხედა და მათკენ მომავალი დუდუკაანთ მიხეილა დაინახა. მასთან ღვინის დაღვევა არავის უყვარდა, რადგან ორი-სამი ჭიქის შემდეგ არევედარევისა და აყალ-მაყალს იწყებდა ხოლმე. გოდერძას გაეცინა და ბიჭებს დაბალ ხმაზე უთხრა:

— თქვენ არ იწერვილოთ. მაგი მოშორება მე მამანდეთ.

ბიჭებმა მხრები აიჩიჩეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ, თუმცა ყველას თვალებში ამოიკითხავდით: „ასეთი რა უნდა გააკეთოსო?“

დუდუკაანთ მიხეილამ საქმე „ნინ ნაიგდო“ და შორიდანვე დაიძახა:

— კამპანიი გაუმარჯოი!

— მოდი, მიშა! მოდი! – ნაძალადევი ზრდილობიანობით მიიპატიჟეს დაუპატიჟებელი სტუმარი.

მიხეილამ თვალის დახამხამებაში მოძებნა ხის ყუთი და დამჯდარი არ იყო სუფრასთან, რომ უკვე ღვინით სავსე პლასტმასის ჭიქა ეჭირა ხელში. რაღაც ნაიბურტყუნა, ბოლომდე გამოცალა ღვინო, ხელახლა შეავსო და ის იყო მორიგი ნაბურტყუნება უნდა დაეწყო, რომ გოდერძამ ხელის მინიშნებით გააჩერა:

— მაიცა! ნუ გაფეჯილდი! მე აქ თამადა ვარ თუ ლამფი შუშა!?

— რა იყო, რა!? – იუკადრისა დუდუკაანთ ბიჭმა, - ღვინო გენანება, თუ რა ხდება!?

— პატრა ბიჭო, მამისმინე, გენაცვალე, - წყნარად მიმართა გოდერძამ, - ჩვენ არც ღვინო გვენანება და არც პურ-მარილი. მაგრამა ეს სუფრა განსაკუთრებულია და ყველას არა აქ აქ დასწრების უფლება.

— ეე! – გადმოკარკლა თვალები მიხეილამ, — ეგა ახალი წესია, თუ შენ მაიგონე!?

— მისმინე, ჯიგარო, — აუღელვებლად გააგრძელა საუბარი გოდერძამ, — შეხედე ამ ბიჭებსა. ჰო ყველაი იცნობ? ჰოდა, ისიც გეცოდინება, რომ არც ერთ ჩვენგანსა მამა არა ჰყავს. სპეცია-

ლურად შევიკრიბეთ უმამო ბიჭები, რომ ჩვენი შამქმნელების სულისთვის ცხონება გვეთქვა და ვისაც მამები ჰყავთ, ის ხალხი არ დაგვიპატიჟნია. აი, ესე გვინდოდა პურიჭამა და დანარჩენი ეხლა შენ იცი. თუ გინდა დარჩი და თუ გინდა ნადი.

უცებ, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ მიხეილას შეხედა.

— რა იყო! — იყვირა დუდუკაანთ ბიჭმა, — რაი გაჩუმდით!? ეტყობა სადღაც პოლიციელი დაიბადა! მაიჭა ეგ ბანკა გამივსე და წავალ!

ბიჭებმა შვებით ამოისუნთქეს. სასწრაფოდ შეუვსეს შუშის ქილა ღვინით, თან გაულიპლიპეს, არ გამიზეზდესო და მიანოდეს.

— აბა, შეხვედრამდე! — წამოიძახა მიხეილამ და სულმოუთქმელად გამოცალა სასმისი. ლუკმაც არ მიუყოლებია და აჩქარებულ ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

— ეწყინა, აი! — თქვა ავთუამ.

— რაც არი არი! — ჩაიბურტყუნა პიპინაანთ კოლამ და ძვლიანი ხაშლამის მოზრდილი ნაჭერი გადაიღო თეფშზე, — ეხლა მაგ ღვინოი ცივი წყალი მიაყოლო და გაუვლიი.

— მაიცა, კაცო, მაგვი ყაყანიი თავი ვისა აქ აქა, ძლივ პურიჭამა დავიწყეთ, - თქვა გოდერძამ და თავის შუშის ქილას მოკიდა ხელი, - მაიჭა ჩამაასხი!

ის იყო სადღეგრძელო უნდა ეთქვა გოდერძას, რომ უცებ ხევის მხრიდან თოფის სროლის ხმა გაისმა.

— კაცოო! რალა დროი ნადირობისაა, - თქვა კოლამ, - სულ გადაირია ეს ხალხი.

— ახალი წელია მამაძალი!? — ხითხითებდა ავთუა.

— კარგით, კარგით, გეყოფათ! — წამოიძახა გოდერძამ, - მამისმინეთ! მორიგი სადღეგრძელო უნდა ვთქო!

უცებ ხმა მოისმა ბაზრის შემოსასვლელი კარიდან:

— მაიცა! მაიცა! ჯერ არ დალიო!

ყველამ კარისკენ გაიხედა. აქოშინებული დუდუკაანთ მიხეილა ბიჭებისკენ გამორბოდა.



— რა იყო, მიშა!? რა მოხდა!? – შესძახა გოცებულმა გოდერძამ. ყველამ იცოდა, რომ მიშა, იქვე, ხევის პირას ცხოვრობდა და ხვდებოდნენ, რომ რალაც შეემთხვა დუდუკაანთ ბიჭს.

მიხეილა კი, საქმიანი კაცივით მივიდა სუფრასთან და ავთუას უთხრა:

— მაიტა დაასხი ბანკაში!

— არ იტყვი, რა მოხდა, კაცო!? – არ ისვენებდა გოდერძა.

მიხეილამ ფეხზე წამომდგარ ბიჭებს შეხედა და თქვა:

— თქვენზე ნაკლები დედაც! მამაჩემი ხსოვნა იყო!

— რაო!? – იყვირა ყველამ ერთად.

— რაო და მამაჩემი ხსოვნა იყო! – გაიმეორა მიხეილამ.

ისე, რომ თვალეში არავისთვის შეუხედავს.

— მმმმმ! – ენა დაება გოდერძას.

მიხეილამ გამოცალა შუშის ქილა, ზედ ხაშლამის თანთალა ნაჭერიც დააყოლა, ტუჩები გაილოკა და როგორც იქნა ამოთქვა:

— ხო თქვით, უმამოები პურიჭამაო და ამ პურ-მარილი გაცდენა შეიძლებოდა!? ავდექი და როსტომა გავაგორე! მასმ! თოფის ხმაც ხო გაიგონეთ!? ეგეც ფაქტი! ეხლა დასხედით და დავლიოთ.!

თანამეინახენი გაჩუმებულნი ერთმანეთს უყურებდნენ, თან მორიდებით მიხეილას ათვალეებდნენ, იარალი თან ხომ არა აქვს წამოღებულიო, რადგან დუდუკაანთ ჯიშისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მხოლოდ მიხეილა ილუკმებოდა გემრიელად და თან ბურტყუნებდა:

— გამოტოვებულისაი არ დამალევინებო!?.....

ბოლოს თვითონ დუდუკაანთ ბიჭს აუტყდა სიცილი და ყველანი მიხვდნენ, რაც გაითამაშა მიხეილამ.

ქეიფი გვიან ღამემდე გაგრძელდა. მრავალჟამიერის და ჩაკ-რულოს სიმღერების ჰანგებით ივსებოდა შემოდგომის მცხუნვარე მზისგან ღამეშეგრილებული არემარე.

## ნუთუ!?

*„სიყვარული მთავრდება მაშინ, როდესაც  
ადამიანები ერთმანეთს შეიცნობენ“.  
კონსტანტინე გამსახურდია.*

ნელა მიყვები ნანვიმარ აღმართს,  
აღარ მაქვს ძალი ბევრი ფიქრისა,  
ჟამიდან-ჟამზე თვალწინ გაირბენს  
ჩრდილი დაკარგულ სიყვარულისა.

ოჰ, აფროდიტავ, დაეხსენ სულსა,  
გულს არ უხარის ეს გაზაფხული,  
წარსულ დღეების გახსენებისას  
ვგრძნობ, რომ ბევრი მაქვს მე დაკარგული.

კვლავ აღიმართა ჩემს წინ დემონი,  
ფრთები გაშალა ჩაშავებული,  
მომავალს ვერ ვჭვრეტ საღი გონებით,  
კვლავ იფერფლება მზე სიყვარულის.

რა მოვუხერხო ამდენ ფიქრთ კრებულს?  
სად გამოვნახო სხვა გზა სავალი?  
ერთი შენ შემრჩი ამ ქვეყნად ღმერთად,  
ვით მიჯნურთა მზე ამომავალი.

კიდევ კარგი, რომ ახლოს გაგიცან,  
ანგელოზთ ღმერთი დაქალბებული,  
შენს სიახლოვეს ისევ ვგრძნობ ცხადად,  
რომ შემძლება კვლავ სიყვარული.



\*\*\*

დღეს გაზაფხულის სურნელი ვიგრძენ,  
ბაღში ფეთქდება ყვავილთ კრებული,  
ვაზი ატირდა, ატირდა სულიც,  
წარსულ დღეებით გულდადალული.

შუალამეა, სანთელი ქრება,  
ირგვლივ გამეფდა წყვილიადა სრული,  
ჩემს მარტოობის „დღესასწაულებს“  
როდის ექნება დღე დასასრულის!?

დღეს გაზაფხულის სურნელი ვიგრძენ,  
ბაღში ფეთქდება ყვავილთ კრებული,  
ვაზი ატირდა, ატირდა სულიც,  
წარსულ დროებით გულდადალული.

1981



\*\*\*

*...იგივე დარჩა ეს გაზონები, არც ნაძვებია შეცვლილი,  
 მხოლოდ ჩვენი ნაფეხურები წაშლილა... შევჩერდი იმ ნაძვებთან,  
 სადაც ჩვენ გვიყვარდა ერთად ყოფნა და ისევე მწარედ გამახსენდა  
 შენს მიერ ნათქვამი სიტყვები: „მე მხოლოდ მინდა, რომ შენგან შეილი  
 მყავდეს, არ მსურს შენი ცოლობა“. ამ დროს, ელვასავით განათებული  
 შენი თვალები არ მავინყდება...არ მავინყდება არც შენი ჩემდამი  
 დამცინავი მზერა, რომელთა საიდუმლო მხოლოდ სამი წლის შემდეგ  
 ამოვიცან. მაშინ ეს ყოველივე ხუმრობა მეგონა, მაგრამ შევმცდარვარ  
 და რა ძლიერ თურმე, რომელი შეცდომის გამოძახილი ახლაც არ მასვენებს.*

თურმე მეგონა ყოველივე სიტყვის თამაში,  
 არ შემიცვნია დღევანდელი ჭეშმარიტება,  
 ჩამოიშალა ჩემს წინ ყველა გრძნობის კედელი,  
 არ შეისმინა ღმერთმა თურმე ჩემი ვედრება.

ჰოი, ტიალო, დამცინავო ნუთისოფელო,  
 რომ ვერ შეგიცან დღემდე, ვიყავ დასამინები,  
 სვეტიცხოველი, ნინონმინდა და ალავერდი,  
 შემომცქერიან, შემომცქერიან და ვიტანჯები.

რად დავისაჯე ასე მწარედ, მე ვერ გავიგე,  
 რატომ ვერ შევძელ დღეის შემდეგ სხვა სიყვარული,  
 ანგელოზები ჩამოფრინდნენ ჩემს სანახავად  
 და დამამშვიდეს ცხოვრებისგან გულდადალული.



\*\*\*

ოჰ, ეს თვალები გიშრის ფერისა,  
ცად მოელვარე, შეფარულ ვნებით,  
ვერა, ვერ შეცვლის ვერც ერთი ძალა,  
შემომავალი სამყაროს გზებით.

შენ ერთი შემრჩი, ვით მონაქროლი,  
წმიდათა წმიდა სანთლის მაგვარი,  
შენ ერთს ვერასდროს ვერ მიგატოვებ,  
როგორც ყივჩაღი მკვდრეთით აღმდგარი.

რატომ მიყვარხარ?.. ვერაფერს გეტყვი,  
რად მიმაჩნისხარ წმიდა სანთელად?  
აღბათ იმიტომ, რომ განმიცდია  
წმიდა გრძნობები მიჯნურთ მაგვარად.

ოჰ, ეს თვალები გიშრის ფერისა,  
ცად მოელვარე, შეფარულ ვნებით,  
ვერა, ვერ შეცვლის ვერცერთი ძალა,  
შემომავალი სამყაროს გზებით.

1980



\*\*\*

ფიალას შევავსებ წითელი ღვინით  
და დაგილოცავ ქართველ ქალობას,  
შენ ხმას ვერასდროს ვერ დავივიწყებ,  
რაიც მაგონებს ბუღბუღტ გალობას.

შენს თვალებს მზერას ვერ მოვაცილებ,  
ძნელია ჩემთვის მათი დათმობა,  
მაგრამ ხარ ჩემგან მიუწვდომელი  
და ჩქარა გადის ეს შემოდგომა.

დგება ზამთარი, სიცივის ღმერთი,  
გავიყინები ალბათ... უთუოდ,  
ბახუსის მონა როდემდე ვიყო,  
გამიჭირდება სუნთქვა უშენოდ.

1980





\*\*\*

ბავშვობა ჩვენი წმიდაა, როგორც  
ჩამოღვენთილი თაფლის სანთელი,  
მზის სიკაშკაშე, ცის ლურჯი თალი  
და ცისარტყელას სხივი ნათელი.

- ნელა იარე, შვილო ზურიკო,  
ისმის ბებიას ტკბილი სიტყვები, -  
შენ ჯერ პატარა ანგელოზი ხარ,  
ბევრს მოესწრები, რომ გაიზრდები.

ნუთუ არსებობს ქვეყნად სხვა ძალა,  
რომ შეაჩეროს ეს სიყვარული?  
არა მგონია, ვერ დავიჯერებ და  
არც არსებობს სხვა საფიქრალი.

- მისმინე, შვილო, დაიმახსოვრე,  
ქართველებს გვქონდა სიტყვა ქებული,  
- ვიცი, ბაბუკა, განა არ ვიცი,  
ჯერ თამაშში ვარ მხოლოდ გართული.

- პატარებს ჩვენც გვყავს ჩვენი გმირები,  
სულ ახლოს, ახლოს, აქვე ოთახში,  
დიდი ქართველნი რომ გავიზრდებით,  
არც ჩვენ ჩავაგებთ მახვილს ქარქაშში.

- დაიმახსოვრე, პატარა შვილო,  
ქართველებს გვქონდა დიდი წარსული,  
ერის შვილები აკვანში გრძნობდნენ,  
რომ ხალხი ჰყავდათ სახელგანთქმული.

- ჩვენც ენერგიას არ დავიშურებთ,  
ჩემო ბაბუკა, შენ გენაცვლები,  
გავწევთ, გავიტანთ ერის დიდებას,  
ჩვენ, მომავალი ახალგაზრდები.

1981

\*\*\*

წლები გარბიან ელვაზე სწრაფად,  
ცოტალა დარჩა აღმასავალი,  
განვლილ ცხოვრებას რომ გადავხედავ,  
დამეზადება კითხვა მრავალი.

რა გავუკეთე მე ჩემს ქვეყანას?  
რისთვის ვიცხოვრე ამდენი წელი?  
ჩემს თავს პასუხობს ვიღაც შორიდან:  
- არა ჰყოფილხარ შენ გასაჩენი!

მაშ რად დამზადე, წმიდაო ღმერთო?  
რისთვის ვამძიმებ ამ დედამიწას?  
ჩემს მაგივრად სხვას რომ ეცხოვრა,  
იქნებ ეკურთხათ ერის წმიდანად.

1981



\*\*\*

სიზმრად ვიხილე, ვარდებსა ჰკრეფდი,  
ეკალნი შენს წინ თავებსა ჰხრიდნენ,  
შენს გარეშემო დილის ყვავილნი  
გახარებულნი ფოთლებსა შლიდნენ.

ბულბული დილით სტვენით გატკობდა,  
სურდა გალობა შენს სიახლოვეს,  
შენ კი ამაყი, როგორც ყოველთვის,  
არ იკარებდი მას სიახლოვეს.

სიზმრად ვიხილე, ვარდებსა ჰკეფდი,  
ეკალნი შენს წინ თავებსა ჰხრიდნენ,  
შენს გარეშემო დილის ყვავილნი,  
გახარებულნი ფოთლებსა შლიდნენ.

1981





## პატარაქულის ღამე

მზემ ჩაასვენა თავის სხივები  
წმიდა ესტატეს ღამაზ მთის უკან,  
ირგვლივ ჩამონვა წყვდიადი სრული,  
მთვარეს ბრძოლა აქვს წყეულ წყვდიადთან.

აჰა! ბურუსმაც გადაიყარა,  
თვალწინ იშლება ძველი სოფელი,  
სადღაცას ძალღი ღამეს ემდურის,  
გვიან ბრუნდება შინ საქონელი.

ვიღაც ქიტესა გოგოს ათხოვებს,  
გადარეული ხალხის ხმა ისმის,  
ყველას ბახუსი ჩასვლია გვამში  
და ერთმანეთის არც არა ესმით.

გოგო წაიყვანეს,  
ხალხი დანყნარდა,  
ძაღვები აღარ ყეფენ,  
საქონელი აღარ ზღავის,  
დავრჩი მე,  
მთვარე და  
არყის ქვაბი.

1980



## სამგორის ველზე ანთებულ ცეცხლში ამოკითხული

ამ ქვეყნის ცქერით და სხივების ფრქვევით გადაღლილი მზე თავის სამყოფელში ჩაესვენა. ცას ჯერ ჟრუნის ფერმა გადაჰკრა, მერე კი თითქოს გუთანმა გადაიარა ცაზეო და თავის გაკვალულ „შავ ხნულში“ უამრავი მარგალიტი ჩაჰყარა ...

...ცის დასავალში ცეცხლის ფერმა გადაჰკრა „ხნულს“, მარგალიტებიც აღარ ჩანდა.

...არა, ეს არ არის ბრძოლა დღესა და ღამეს შორის, ეს ახალი საუკუნის გულის ფეთქება, რომელმაც ვეღარ გაუძლო მიწის გულში ღელვას და ამ ქვეყანას მოევიწიან...

...ცეცხლის ალი უფრო და უფრო მაღლა მიისწრაფვის, სურს უფრო ზევიდან გადმოხედოს ქვეყანას და ხალხს...

...იქნებ ეს ცეცხლი იმ ლომგულოვანი ვაჟკაცების გულის ამონახეთქია, რომელთაც არ დასცალდათ სიცოცხლე და ადრე ჩაუქრათ იგი, მაგრამ ჩაუქრათ და ჩაეფერფლათ სამშობლოს დიდებისათვის, მისი დღეგრძელობისათვის...

...მათ ხომ სიცოცხლე სწყუროდათ, მათ ხომ სისხლი უდუღდათ ძარღვებში... და ალბათ, ეს ცეცხლიც იმიტომ არის ასეთი სისხლისფერი, ასეთი მოუსვენარი, როგორც იმ ვაჟკაცთა გულები, სული და სხეული, ვინც ოდეს საქართველოსთვის, მამულისათვის თავს აკლავდა გარს მომდგარ მტერს...

...უფრო მაღლა, უფრო მაღლა აინიე, სისხლისფერო ცეცხლო, რათა მთელს ქვეყანას ამცნო სამგორის ველების საიდუმლო... რათა მთელმა ქვეყანამ დაინახოს და იგრძნოს შენი სილამაზე და მხურვალეობა...

...უნინ შენს ველებს ქარებთან ერთად  
მტერი მუსრავდა ათასი რჯულის,  
მაგრამ ბოლომდე ვერ დაიმონეს  
ხალხი დამხვედური მტრის და მოყვარის

ბევრჯერ აწვიმდა შენს ველებს სისხლი,  
ბევრჯერ დამდგარა ცრემლების ტბორი,  
შენ ბრძოლის ფასად მშვიდობა შეჰქმენ,  
მიტომ გინოდეს ველი სამგორის.

სამი გორაკი მტრის და დამხვედურის,  
შენ ჩაიმარხე საკუთარ გულში,  
ჭირისუფალი შენ იყავ მათი  
და ჩამხედვარე გმირების სულში.

ბოლოს აღდგა და აბობოქრდა,  
დამარხულ გმირთა სასუფეველი,  
გასჭრა, გააპო შენი გულ-მკერდი  
და მოევლინა ქვეყანას ცეცხლით ...

1981





## თბილისობის გამოქაჩილი

დიღმის კარი და მუხრანთუბანი,  
დამხვდური ბევრი მტრის და მოყვარის,  
დღეს აღადგინეს ერის კაცებმა,  
მადლი მოისხეს ქართველი ერის.

ჩაჰყვები ნელა დაღმართს მტკვრისაკენ  
და სიამაყით გვესება გული,  
ფენიქსისამებრ აღდგა თბილისი,  
ბევრჯერ მტრისაგან გულდადალული.

საათნოვა და იეთიმ გურჯი,  
ძველი თბილისის ღვიძლი შვილები,  
ლექსთა ნიაღვარს გადმოაფრქვევდნენ,  
დღეს რომ ენახათ ეს ადგილები.

ამაღლებულა თითქოს მთანმინდა,  
მტკვარი მიღელავს ტკბილი დუღუნით,  
ახალ ცხოვრებას იწყებს ქალაქი,  
გალამაზებულ ქუჩაბანდებით.

ყარაჩოხელი, მეთულუხჩე, კინტო უქნარა,  
თვალნინ ცოცხლდება, როგორც სიზმარში,  
მინდა შევეძახო, შევეძახო ძლიერ,  
ძმებო, მიმიღეთ მეც თქვენს ამქარში!

1980 (თბილისობა)

## ქუთაისს

აღისფერს, წითელ, ყვითელ, ლურჯ დროშებს,  
შეუმოსიათ ძველი უბნები,  
ყვავილთა ზეიმს ეგებებიან  
გულსავსე გრძნობით ქუთათურები.

ხალხმრავალია დღეს ქუთაისი,  
გული სავსეა ხალასი გრძნობით,  
მხოლოდ რიონი, მხოლოდ რიონი,  
ნელა მიღელავს ტკბილი დუდუნით.

- სამშობლოს მივცეთ მეტი დოვლათი! –  
დღეს დევიზია მშრომელ ხალხისა,  
არ შეეშლებათ წინსვლა არასდროს,  
მემკვიდრეთ დიდი აიეტისა.

რა ლამაზია დღეს ქუთაისი,  
აღმოდებული ლამაზ დროშებით,  
რიონიც ხვდება ხალხის სიხარულს,  
გვირგვინად დადგმულ თეთრი ლოდებით.

აღისფერ, წითელ, ყვითელ, ლურჯ დროშებს,  
შეუმოსიათ ძველი უბნები,  
ყვავილთა ზეიმს ეგებებიან  
ხალასი გრძნობით ქუთათურები.

1980



\*\*\*

ს იყვარულის შემოქმედო,  
ანდამატის ძალის მქონე,  
როგორ მინდა ჩაგეხუტო,  
თეთრი შურით დაგემონე.  
ირგვლივ შვილებს ვინ დაგილევს,  
ჭალებსა და მინდორ-ველებს,  
ალმაფრენის ივრის ჭალავ,  
ლოცვა მარად გაგანათლებს,  
ამალლდი და გაიხარე.

2006

\*\*\*

იალნოს მთიდან სხივი გაბრწყინდა,  
სამგორის ველი ზეცად აზიდა,  
კვლავ გაიელვა ვახტანგის ხმალმა,  
ერის დიდებას მცველად დაუდგა.  
ირგვლივ განათდა გარეჯის მთები,  
ზეციდან მოჩანს უცხო რამ ძალა,  
უფლის დიდებით მოსვლას ნატრულობს  
ივრის მშვენება მზე – სართიჭალა.

2007



\*\*\*

ხალხო! გარეჯი გაგვიყიდა  
მოდგამ ტიალმა,  
მალე საქართველოსაც ზედ მიაყოლებს  
ძირფესვიანა!  
რად გძინავს, სულო!?  
გაიღვიძე! გეძახის ერი,  
დედასამშობლოს შველა უნდა,  
დაგვესხა მტერი!  
უფლის თითია გამონწედილი  
ზეციდან ხუთი,  
ნუთუ არ დარჩა ქვეყანაზედ  
მართალი გულით!  
აღარ არისო საქართველო,  
ქილიკობს მტერი,  
გამოიღვიძე, სულო ქართულო,  
მოგყვებით ერი!

2020





\*\*\*

მთები, ველები, ყორღანები, ნაქალაქარნი,  
უკიდევანოდ გადაშლილი წმიდა მიწაზე,  
წმიდანთ ვედრება, ბრძოლის ყიჟინა და შემართება,  
დღესაც გაისმის ლოცვასავით გარეჯის ცაზე.

აქ არის მკერდი ღვთისმშობლის მიწის,  
აქა წყდებოდა ბედი ქართლისა,  
აქ გმირთა ძვლებზედ იწერებოდა  
ისტორიანი მომავალისა...

არ დავივიწყოთ გმირთა სავანე,  
ღირსი მამების ლოცვით ავსილი,  
მუდამ გვახსოვდეს ქველის მოქმედნი  
წმიდა გარეჯის მადლით მოსილნი.

2018





\*\*\*

პატარძლების სამფლობელოვ,  
აკვნის რწევით დაღალულო,  
ტანჯვა უფრო მეტი გქონდა,  
ამ ცხოვრებით დაქანცულო.  
როცა მტერი თავს გეხვია,  
ძლევა შენი ძნელი იყო,  
ერის ბურჯო, სიბრძნის კონავ,  
უფლის მადლის საბრძანისო,  
ლამაზ, ჭკვიან შვილებითურთ  
იხარო და გაზრდილიყო.

2010

\*\*\*

უფალმა არ მიატოვა დავითის ლავრა ქებული,  
დოდორქა, ნათილსმცემელი და მონასტრები რჩეული,  
ადგილზე შექმნა სოფელი ქართლოსით გამორჩეული,  
ბინა დაიდეს ქართველთა, საქმე ჰქმნეს ქრისტესეული,  
ნამდვილად ყველამ იცოდა, რასაც უქადდა გრძნეული -  
„ო ლონდაც რწმენა გადარჩეს, ჩვენ ვიყოთ ზვარაკეულნი!“

2018



\*\*\*

**გ** არე კახეთის მშვენებავ,  
**ი** ბერთა მოდგმის აკვანო,  
**ო** ჰ, როგორ მომნატრებიხარ  
**რ** აინდთა შთამომავალო.  
**გ** ული გაქვს ძლიერ მაგარი,  
**ი** მედო ხვალის დღისაო,  
**წ** მიდა გიორგი გფარავდეს,  
**მ** ოგაგოს მადლი ღვთისაო.  
**ი** ხარე მარად და მარად,  
**წ** ურვინ დაგადგამს თვალსაო,  
**დ** ედა ღვთისაა განმგები  
**ა** მ სოფლის მომავლისაო.

2021

\*\*\*

**ს** იყვრულის მარანი ხარ,  
**ა** რვისა გაქვს ქვეყნად ვალი,  
**გ** მირთა მადლის მტვირთველი ხარ,  
**ა** დრე მიტომ გერქვა თვალი.  
**რ** ოგორ მალე გაიზარდე,  
**ე** რისათვის მხრებგაშლილი,  
**ჯ** ანმრთელობით გაგიმრავლდნენ,  
**ო** ჯახი და შვილთაშვილი.

2021



\*\*\*

ნათელი, თვალმარგალიტო,  
ივრისპირეთის ძალაო,  
ნინოს ნაკურთხი მიწა ხარ,  
ომით მტერმა ვერ გძალაო.  
წმიდათა ლოცვა-კურთხევა  
მონასტერს ზეცით ადგაო,  
„ირმების გადმოსახელო“  
ნათელი სვეტად ჩადგაო.  
დედა ღვთისაა მფარველი  
ამ წმიდა ალაგისაო.

2021





## სუთასი ზოლნისელი

ქართველთა თავზე ოდითგან დღემდის  
ბევრმა გრიგალმა გადაიარა,  
შემოსევებმა აურაცხელმა,  
ერს დაუტოვა ბევრი იარა.

ჯალალედდინმა ლახვარი ჩასცა  
დავით-თამარის შექმნილ სამოთხეს  
და მონღოლების ველურთა მოდგმამ  
ქართველთ დიდების მზე დააბნელეს.

მას შემდეგ განვლო არც თუ დიდმა დრომ,  
თითქოს მოშუშდა ყველა ჭრილობა,  
ბოროტმა ისევ დააგო მახე  
და აირია ქართველთ მშვიდობა.

აღმოსავლეთით ქარბუქი ატყდა,  
უსაშველო და დაუნდობელი,  
ქვა ქვაზე არვის არ დაუტოვეს,  
განყვიტეს გმირთა სახსენებელი.

ღვთისგან წყეულმა ლანგმა თემურმა,  
ქრისტეს მიმდევრებს ესროლა მზერა,  
სომხეთი მოსპო, დაწვა ყოველი  
და გააშიშვლა მათი ტერტერა.

ქართველთა მეფემ არ დააყოვნა,  
უმალ ეძგერა მომხვდურს პირისპირ,  
თემური ამ დროს ყარაბაღს იდგა,  
როდესაც ამცნეს სიძლიერე მტრის.

განრისხებულმა დაძრა ლაშქარი,  
მათმა სიმრავლემ ზეცა დაფარა,  
ფოლადაურის ხევში შეჩერდა ...  
განცვიფრებულმა ლაშქარს შეხედა.

მის წინ ხუთასი ქართველი იდგა,  
მამულისათვის ხმალამონვდილი,  
იდგნენ ჩაუქი ბოლნისელები,  
ქართულ აკვანში გამობრძმედილი.

მყისვე ეძგერნენ ველურთა მოდგმას,  
მოსრეს მრავალი დავითფერულით,  
ზეცას შეასხეს სისხლი მომხვდურის ...  
არ გაატარეს ფოლადაურით.

ბოლოს იძლიეს ქართველთა მტრისგან,  
შემოეკედლნენ ციხეს ბოლნისის,  
სამ კვირიაკეს ბრძოდნენ გმირულად,  
არ შეარცხვინეს მოდგმა ქართლოსის.

ბოლოს, შელენეს თათართა ბჭენი,  
ბრძოლა გაჩაღდა უკანასკნელი,  
ჩაუქ ბოლნისელთ თავები დასჭრეს,  
სისხლით შეღებეს საკურთხეველი.

ისინი მოკვდნენ მტრისგან ძლეულნი,  
მაგრამ უკვდავნი დარჩნენ მარადის,  
უკვდავნი ბევრი ჰყავდათ ქართველებს,  
ნათელში იყვნენ ან და მარადის!

1981



## დიდგორი

ცაზე ღრუბლები გადაიყარა,  
ნიჩბისის ხევში გრიალებს ქარი,  
დავით მეოთხე აღმაშენებელს,  
დიდგორში მოჰყავს თავის ლაშქარი.

ლაშქარში ყველა ერთ რამეს ფიქრობს,  
განდევნოს მტერი ქართულ მიწიდან,  
არ შეარცხვინოს წინაპართ სისხლი,  
გადმოცემული თაობებიდან.

ამერ-იმერის ვაჟკაცთა შორის,  
ქართულ მიწა-წყალს იცავს ყივჩაღი,  
დავითის ლაშქარს ამშვენებს ფრიად,  
ჯვაროსანთ გუნდი შემართებული.

წარსდგა დავითი ლაშქრის წინაშე:  
- ჰე! მეომარნო ქრისტესმიერნო!  
ყველამ შევფიცოთ უფალს ერთი რამ,  
მის დასაცავად ვიბრძოლებთ მედგრად,  
რომ განიდევნოს ბილწი ურჯულო!

- ამინ! - შეჰფიცეს მეომართ ერთად, -  
- ზეცამ ისმინოს ვედრება ჩვენი,  
სამშობლოსათვის თავს დავდებთ ყველა,  
ოლონდ გადარჩეს ქართველი ერი!

- მაშ, გადავკეტოთ ნიჩბისის ხევი,  
რომ არ შეგვეძლოს უკან გაქცევა  
და შევეუთიოთ მტერს მამაცურად,  
ქრისტე ღმერთს ვამცნოთ მათი დაქცევა!



უცებ გაივსო ღრუბლებით ზეცა,  
მთებს გადაეკრა შავი ჩრდილი,  
დიდგორის ველზე თავის მხედრებით,  
ფრთხილად დაეშვა ღმერთი სიკვდილის.

არც მტერი იჯდა გულხელდაკრევით,  
მათმა ყიჟინამ ზეცა ნაბილნა,  
სელჯუკიანთა რჩეულ მხედრობას  
სურს გადათელოს ქართული მინა.

მოდგმა ტიალი თოღრულბეგისა,  
კალიებივით მოედგნენ ველებს,  
კარვები დასცეს მრავალ ადგილას  
და შესწივიან თავიანთ მოლებს:

- ქართველთა მეფე ალაჰთან ურჩობს,  
სურს ქრისტეს რჯულით შებილნოს იგი,  
ის კი არ იცის გურჯმა რეგვენმა,  
რომ დღე დაუდგა მას აღსასრულის!

აუგს ანთხევდა მთავარსარდალი  
და აქეზებდა ალაჰის მონებს,  
მოუნოდებდა მათ ბრძოლისაკენ  
და ჰპირდებოდა ყველას სამოთხეს.

ქართველთა ჯარი უცებ შეირხა,  
ერთურთს დაუნყეს ნაკინკლავება,  
ორ ასეულმა მხედართა რაზმმა  
მწყობრად დაინყეს მტრისკენ ნამოსვლა.

-ქართველთა ჯარი შიშმა მოიცვა! –  
- იგესლებოდა შაჰ - მუჰამედი, -  
- დიდი ალაჰის მძლავრმა მხედრობამ  
დღე გაუთენა მათ აღსასრულის!



- დავითი ორას დესპანს გვიგზავნის,  
სურს ჩამოაგდოს ჩვენთან მშვიდობა,  
მაგრამ არ იცის გურჯმა რეგვენმა,  
არსად გაუვა ეს ეშმაკობა!

მხედრები მტრის ჯარს მიუახლოვდნენ,  
მოჩვენებითი, ლალი იერით,  
მისვლისთანავე ჩეხვა დაიწყეს  
სელჯუკიანთა მძლავრი მხედრობის.

ბრძოლა შედეგდა ხმალთა კვეთებით,  
სისხლით გაივსო მრავალი ღელე,  
გრიგალისამებრ თავისი ლაშქრით,  
მთიდან დაეშვა დემეტრე მეფე.

დასცხეს ყიჟინა ქართველთა ერთხმად,  
შეავინროვეს მუსულმანთ ჯარი,  
ყოველი მხრიდან დაჰკრეს ლომგულად,  
შელენეს ყველა რკინის აბჯარი.

ბრძოლამ სულ რაღაც სამ ჟამს გასტანა,  
სიკვდილის ღმერთიც გამოძღა სისხლით,  
ბრძოლის სასწორი დიდგორის ველზე,  
დამძიმდა ქართველთა ჯარის დიდებით.

ბრძოლა დასრულდა, დღეც განესრულა,  
მზემაც დააცხრო თავის სხივები,  
მეფე დავითმა ომი მოიგო,  
სისხლში ჩაახრჩო ურჯულოები.



## სარჩევი

გოგონა ყვითელი თავსაფარით .....	4
გვანცა .....	32
დურგლიანთ ჯერანა .....	41
ერთხელ „ოქროს სანაპიროზე“ .....	49
დუდუკაანთმიხილა .....	60
ნუთუ!?	65
***დღეს გაზაფხულის სურნელი ვიგრძენ.....	66
***თურმე მეგონა ყოველივე სიტყვის თამაში .....	67
***ოჰ, ეს თვალები გიშრის ფერისა .....	68
***ფიალას შევავსებ წითელი ღვინით.....	69
***ბავშვობა ჩვენი წმიდაა, როგორც .....	70
***წლები გარბიან ელვაზე სწრაფად .....	71
*** სიზმრად ვიხილე, ვარდებსა ჰკრეფდი.....	72
პატარძელის ღამე.....	73
სამგორის ველზე ანთებულ ცეცხლში ამოკითხული.....	74
თბილისობის გამოძახილი .....	76
ქუთაისს .....	77
*** ს იყვარულის შემოქმედო .....	78
*** იალნოს მთიდან სხივი გაბრწყინდა.....	78
***ხალხო! გარეჯი გაგვიყიდა.....	79
***მთები, ველები, ყორღანები, ნაქალაქარნი.....	80
***კ ატარძლების სამფლობელოვ .....	81
***უ ფაღმა არ მიატოვა დავითის ლავრა ქებული.....	81
***გ არე კახეთის მშვენებავ .....	82
***ს იყვარულის მარანი ხარ.....	82
***ნ ათელო, თვალმარგალიტო .....	83
ხუთასი ბოლნისელი .....	84
დიდგორი .....	86



[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მნიშობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71



1. იყვანო აკვამდეობი.  
2. აძღვრობი მას და მფრლო.  
3. უფამ ხვენი გულ ვასხანობი.  
4. მკვსყვანობი ხვენი სიმძობლო.  
5. მ. ლოკონი რამისი ხანი.  
6. მკვნილ მძობწი რა-სანივლო.  
7. რ იყვანო მარბში ვახვენილო.  
8. მკვნილ ვახვენი მახვენილო.

